

რეაგირება იძულებით გადაადგილებაზე:
ერთვნილი პასუხისმგებლობის
ჩარჩო



2005 წლის აპრილი



u^b

UNIVERSITÄT
BERN

ბრუკინგსის ინსტიტუტი - ბერნის უნივერსიტეტი
პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ



NORWEGIAN
REFUGEE COUNCIL

წიგნი ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ნორვეგიის
ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით

მთარგმნელი – ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძე

ფოტო გარეკანზე: იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება აღმოსავლეთ ტიმორში
მანატუტოს ფოტო/გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი

ვოლტერ კალინი

გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებში

ვინაიდან იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) საკუთარი ქვეყნის საზღვრებში ცხოვრობენ და თავიანთი მთავრობის იურისდიქციის ქვეშ არიან, მათი დაცვისა და დახმარების ვალდებულება უპირველეს ყოვლისა მათ ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება. ამ საკითხზე ხაზგასმით მიუთითებს **სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ**, რომელიც აყალიბებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებსა და მთავრობათა ვალდებულებებს მოსახლეობის ამ კატეგორიის მიმართ. ეს პრინციპები ქმნის ჩარჩოს, რომელიც ეროვნული პასუხისმგებლობის ფარგლების უკეთ გაგების საშუალებას იძლევა.

ამ პრინციპებმა ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიან ეროვნულ რეაგირებას და საჭირო ზომების შემუშავებას, რომლებიც საჭიროა იძულებითი გადაადგილების შედეგად გამოწვეული პრობლემების დასაძლევად. სახელმწიფოებისათვის ამ ამოცანის შესრულებაში დახმარების მიზნით, ერინ მუნეიმ, რომელიც არის იძულებითი გადაადგილების შესახებ ბრუკინგის ინსტიტუტის-ბერნის უნივერსიტეტის პროექტის დირექტორის მოადგილე, ერთ დოკუმენტში მოუყარა თავი ეროვნული პასუხისმგებლობის ეტალონურ სქემას. თითოეული ეტალონი მიუთითებს თითო ნაბიჯზე, რომელიც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ ვალდებულებების აღებისას. ვიდრე კონკრეტული სახელმწიფო ამ ნაბიჯების შესაბამის საკუთარ ეროვნულ პირობებს ჩამოაყალიბებდეს, სასურველია გარკვეული ინიციატივები საერთო ხასიათის მქონე ღონისძიებებად იქნეს აღიარებული ყველა ქვეყნის მიერ, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული პირები ჰყავს. კერძოდ, მთავრობებმა უნდა განიხილონ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს: იძულებითი გადაადგილების პრევენციას ან მისი შედეგების შემსუბუქებას; სახელმწიფო დონეზე პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლებას; იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობისა და მათი პირობების შესახებ მონაცემთა შეგროვებას; იძულებითი გადაადგილებისა და სახელმძღვანელო პრინციპების თემაზე ტრენინგის მხარდაჭერას; იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვისთვის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას;

იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული პოლიტიკის შექმნას; იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე საკონტაქტო დაწესებულების განსაზღვრას; ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტებისთვის ხელშეწყობას მათ საქმიანობაში იძულებითი გადაადგილების საკითხების ჩართვის მიზნით; პრობლემის გადასაჭრელად სათანადო რესურსების გამოყოფას; იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში; და იძულებით გადაადგილებულთა პრობლემის საიმედო გადაწყვეტის მხარდაჭერას. გარდა ამისა, როდესაც იძულებით გადაადგილებულთა პრობლემების მოსაგვარებლად ეროვნული ძალები საკმარისი არ არის, საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან თანამშრომლობა ეროვნული პოლიტიკის ძირითადი ელემენტი უნდა გახდეს.

ეროვნული პასუხისმგებლობის ამ ჩარჩოს მიზანია დაეხმაროს მთავრობებს მათ ქვეყნებში იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული პრობლემის მოგვარებაში, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, მისი მეშვეობით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რეგიონულმა ორგანოებმა, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და თვით იძულებით გადაადგილებულმა პირებმა უნდა შეძლონ ეფექტიანად განხორციელებული ეროვნული პასუხისმგებლობის დონის შეფასება და საფუძველი ჩაუყარონ მხარდაჭერის ძალისხმევას, იძულებით გადაადგილებულთა უფლებების დაცვის მიზნით.

გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იმედოვნებს, რომ მთავრობები ყურადღებით განიხილავენ ამ პუბლიკაციაში აღწერილ ნაბიჯებს და მათ საუკეთესო გზით გამოიყენებენ იძულებით გადაადგილებულთა პრობლემების მოგვარებაში. ასევე ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ დონორმა სახელმწიფოებმა ეროვნული პასუხისმგებლობის ეტალონური მახასიათებლების გადასინჯვის თვალსაზრისით, რადგან, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე სახელმწიფოებისთვის ეს ძირითადი ელემენტი მათ მხარდასაჭერად დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

შინაარსი

წინათქმა / **1**

შესავალი / **3**

სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ / **7**

ეროვნული რეაგირების ძირითადი მახასიათებლები / **9**

ეროვნული პასუხისმგებლობის ეტალონური მახასიათებლები / **13**

1) პრევენცია / **13**

2) პრობლემის შესახებ ეროვნული ცნობიერების ამაღლება / **14**

3) მონაცემთა შეგროვება / **15**

4) ტრენინგი იძულებით გადაადგილებულთა უფლებების საკითხზე / **17**

5) იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო / **18**

6) ეროვნული პოლიტიკა ან სამოქმედო გეგმა იძულებითი გადაადგილების შესახებ / **19**

7) იძულებითი გადაადგილების საკითხებზე პასუხისმგებელი უწყება / **21**

8) ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი / **22**

9) იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში / **24**

10) საიმედო გადაწყვეტები / **26**

11) სათანადო რესურსები / **29**

12) თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან / **29**

დასკვნები / **33**

სქოლიო / **34**

დანართი: სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ / **37**

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, და ხშირად ხაზგასმითაც აღნიშნავენ, რომ ვინაიდან იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) საკუთარი ქვეყნის ფარგლებში რჩებიან, საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე ისინი საკუთარი სახელმწიფოების დაცვითა და მხარდაჭერით უნდა სარგებლობდნენ. რა თქმა უნდა, სახელმწიფოები მუდამ აცხადებენ, რომ საკუთარი იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლისა სწორედ მათი პასუხისმგებლობაა. იძულებით გადაადგილებულთა დაცვისა და დახმარების პასუხისმგებლობის უპირველესად ეროვნულ ხელისუფლებაზე დაკისრება იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების ძირეული კონცეფციაა (იხ. დანართი), რომელიც აცალიბებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს და სახელმწიფოთა მოვალეობებს მათ მიმართ, ასევე იგი არის მთავარი დოქტრინა, რომელსაც იძულებით გადაადგილებულთა მიმართ საერთაშორისო და რეგიონულ მიდგომებში იყენებენ.

მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს ეროვნული პასუხისმგებლობა იძულებით გადაადგილებულთა მიმართ? როგორ შეიძლება მისი გაზომვა? მისთვის ხელშეწყობა? გაძლიერება? მხარდაჭერა?

ეს უმთავრესი საკითხებია, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია, თუკი გვსურს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობის რეალიზაცია. საჭიროა გაზომვადი ინდიკატორები და ეტალონური მახასიათებლები, რომლებიც მთავრობებს დაეხმარება მათი პასუხისმგებლობის შესრულებაში და ამ შესრულების ეფექტიანობის შეფასების საფუძველს შექმნის. ამ მიზნით წარმოდგენილია ეროვნული პასუხისმგებლობის ჩარჩო, რომელიც აცალიბებს ეტალონურ მახასიათებლებს იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. კერძოდ, განსაზღვრულია 12 ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფომ უნდა გადადგას იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობის შესრულების მიზნით. ესენია:

- 1) იძულებითი გადაადგილების პრევენცია და მისი მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება
- 2) პრობლემის შესახებ ეროვნული ცნობიერების ამაღლება
- 3) მონაცემა შეგროვება იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობისა

- და მათი პირობების შესახებ
- 4) იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხზე ტრენინგის მხარდაჭერა
 - 5) იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დასაცავად სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა
 - 6) ეროვნული პოლიტიკის შემუშავება იძულებითი გადაადგილების შესახებ
 - 7) იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონტაქტო დაწესებულების განსაზღვრა
 - 8) ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ხელშეწყობა მათ საქმიანობაში იძულებითი გადაადგილების საკითხთა ჩართვის მიზნით
 - 9) იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში
 - 10) საიმედო გადაწყვეტათა ხელშეწყობა
 - 11) პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო რესურსების გამოყოფა
 - 12) საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან თანამშრომლობა, როდესაც ეროვნული შესაძლებლობები საკმარისი არ არის

ეს ეტალონური მახასიათებლები, ერთად აღებული, ქმნიან მოქმედების ჩარჩოს, რომელმაც იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში, უნდა უზრუნველყოს ეროვნული პასუხისმგებლობის შესრულება. ეროვნული პასუხისმგებლობის ამ ჩარჩოს მიზანია დახმარება გაუწიოს მთავრობებს მათ ქვეყნებში იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული პრობლემის მოგვარებაში და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ მათი ვალდებულებების შესრულებაში. შესაბამისად, იგი, უპირველეს ყოვლისა, ფოკუსირებულია რამდენიმე ძირითადი ნაბიჯის განსაზღვრაზე, რომლებიც მთავრობებმა შეიძლება გადადგან იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში. იმავდროულად, ეს ჩარჩო აღიარებს სხვა სუბიექტთა როლს, ხოლო ზოგ შემთხვევაში – პასუხისმგებლობასაც, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, რეგიონული უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყო ეროვნული ხელისუფლების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების ვალდებულების შესრულებას. ამიტომ, მოცემული ჩარჩო ასევე არის მექანიზმი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, დონორებს, რეგიონულ ორგანოებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოებას და, რა თქმა უნდა, თვით არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს განახორციელონ მონიტორინგი და შეაფასონ ეროვნული პასუხისმგებლობის ეფექტიანად შესრულების ხარისხი, ხოლო, აქედან გამომდინარე, უზრუნველყონ საფუძველი იძულებით გადაადგილებულთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის ძალისხმევით.

სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ

იძულებით გადაადგილებული პირების დაცვისა და დახმარების პირველადი პასუხისმგებლობა მათ მთავრობებს ეკისრება. ეს არის იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების ფუნდამენტური თემა, რომელიც მას თავიდან ბოლომდე გასდევს. ეს დოკუმენტი აცალიბებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებსა და სახელმწიფოთა ვალდებულებებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი შექმნილია სახელმწიფოთა მოთხოვნით, რაც გამოხატულია გაეროს გენერალური ასამბლეისა და ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუციებში. იგი შეიცავს 30 პრინციპს, რომლებიც უზრუნველყოფს ნორმატიულ ჩარჩოს ეროვნული პასუხისმგებლობის შინაარსის უკეთ აღსაქმელად. **სახელმძღვანელო პრინციპები** მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული, როგორც მნიშვნელოვანი მექანიზმი და სტანდარტი იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული სიტუაციებისთვის, და ისინი ფართოდაა გავრცელებული და გამოყენებული სახელმწიფოთა მიერ. [1]

სახელმძღვანელო პრინციპების განვითარება და გავრცელება ხელს უწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებისა და კონკრეტული საჭიროებების აღიარებას, ასევე ამ კატეგორიის მოსახლეობის მიმართ მთავრობის ვალდებულებათა განმტკიცებას.

თავდაპირველად სასურველია პრინციპები ითარგმნოს ადგილობრივ ენებზე და დაურიგდეს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მუშაკებს, არასახელმწიფო სუბიექტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამრიგად, მექანიზმის როლი უნდა შეასრულოს ანოტაციებმა, რომლებიც განმარტავს საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, რომლებზედაც პრინციპებია დაფუძნებული. ასევე სასარგებლოა **სახელმძღვანელო პრინციპების** გამოყენების ცნობარი, რომელშიც აღწერილია პრინციპების რეალური განხორციელებისთვის საჭირო პრაქტიკული ნაბიჯები. [2]

ტრენინგების ჩატარება სახელმძღვანელო პრინციპებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული და უფლებადაცვითი სამართლის საკითხებზე, რომლებზედაც დაფუძნებულია სახელმძღვანელო პრინციპები, ასევე სასარგებლოა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ასამაღლებლად და მთავრობათა თუ ხელისუფლების სხვა ორგანოთა პასუხისმგებლობის გასამტკიცებლად.

სახელმძღვანელო პრინციპების გარშემო ინფორმირებულობის ამაღლების კიდევ ერთი კარგი მეთოდია, ეროვნულ დონეზე, იძულებითი გადაადგილების საკითხებზე, სემინარის ორგანიზება. ასეთი სემინარები სასურველია ჩატარდეს ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ხელისუფლების თანამდებობის პირების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების, საერთაშორისო ორგანიზაციების და, რა თქმა უნდა, იძულებით გადაადგილებულთა წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც განხილული უნდა იქნეს იძულებითი გადაადგილების სხვადასხვა ასპექტები **სახელმძღვანელო პრინციპების** საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარების ერთობლივი სტრატეგიების ჩამოყალიბებას.

სახელმძღვანელო პრინციპები, ამასთანავე, მნიშვნელოვანი მექანიზმი აღმოჩნდა პირობების მონიტორინგისთვის. ისინი იძლევა მითითებებს ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც იძულებითი გადაადგილების პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული. გაეროს რეზოლუციებმა ბიძგი მისცა მთავრობებს შეემუშავებინათ ეროვნული კანონები და პოლიტიკა თავიანთი იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დასაცავად და დასახმარებლად, სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.[3] მთლიანობაში, **სახელმძღვანელო პრინციპები** უზრუნველყოფს ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც საფუძველად უნდა დაედოს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო რეაგირებას იძულებითი გადაადგილების საკითხებზე.

ეროვნული რეაგირების ძირითადი მახასიათებლები

ეროვნული რეაგირება, განმარტების შესაბამისად, უნდა იყოს ინკლუზიური, მოიცავდეს იძულებითი გადაადგილების ყველა სიტუაციას და იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველა ჯგუფს, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. უფრო ზუსტად, ეს ნიშნავს, რომ ეროვნული პასუხისმგებლობა იძულებითი გადაადგილების მიმართ უნდა იყოს ყოვლისმომცველი სხვადასხვა ასპექტების თვალსაზრისით:

- **ყველა მიზეზი:** იძულებითი გადაადგილების მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობა მოიცავს ყველა პირს, ვინც იძულებით გადაადგილებული გახდა კონფლიქტის, სათემო დაპირისპირების და ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების შედეგად, ასევე იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც დაზარალდნენ სტიქიური ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების შედეგად, განვითარების პროგრამების ან სხვა მიზეზების გამო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იძულებით გადაადგილებაზე რეაგირების ეროვნული პასუხისმგებლობა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მან სარგებლობა მოუტანოს ყველა ადამიანს, ვინც აკმაყოფილებს სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულ განმარტებას იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ. ეს განმარტება სახელმძღვანელო პრინციპებში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

... იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ გამოწვეულ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.

მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებები შეიძლება განსხვავდებოდეს მათი გამომწვევი მიზეზებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იძულებით გადაადგილებულ ყველა პირს აქვს თავისი ხელისუფლებისგან დაცვისა და დახმარების მიღების უფლება. აქედან გამომდინარე, ეროვნული პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულმა პირმა მიიღოს შესაბამისი დახმარება და სათანადო მოპყრობა, დისკრიმინაციის გარეშე და იძულებითი გადაადგილების გამომწვევი მიზეზის მიუხედავად.

- **ყველა ჯგუფი:** იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქალი და ბავშვია. მათ განსაკუთრებული დაცვა, დახმარება და რეინტეგრაცია სჭირდებათ, რაც ჩვეულებრივ ჯეროვნად არ ხორციელდება, ან პრიორიტეტად არ მიიჩნევა. გარდა ამისა, ქალები და ბავშვები, განსაკუთრებით გოგონები, ხშირად დისკრიმინაციის ობიექტები ხდებიან, როდესაც საქმე ეხება დახმარების მოთხოვნას, საკუთარ სახელზე დოკუმენტების მიღებას, განათლებაზე ხელმისაწვდომობას და შემოსავლის მიღება/დაგროვებას, ან მათი აზრის მოსმენას. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფების დაცვა და დახმარება, ოჯახის უფროსი ქალების, უპატრონო ბავშვების, ხეიბრების და მოხუცების ჩათვლით, და უნდა გაითვალისწინოს და მოავგაროს მათი პრობლემები.

იძულებითი გადაადგილება განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედებას ახდენს ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებზე, მკვიდრ მოსახლეობაზე და სოფლის მოსახლეობის ღარიბ ფენებზე. დევნილობის შედეგად, ეს ისედაც მარგინალიზებული ჯგუფები, დისკრიმინაციას განიცდიან დაცვაზე და დახმარებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც ეთნიკური, რასობრივი ან იდეოლოგიური სტიგმითაა გამოწვეული; ეს კი კიდევ უფრო ამძაფრებს მათ მოწყვლადობას. ენობრივი ბარიერის გამო მათ შესაძლოა გაუჭირდეთ კომუნიკაცია ხელისუფლების ორგანოებთან და ვერ მიიღონ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ. გარდა ამისა, როდესაც საქმე ეხება მკვიდრი მოსახლეობის დევნილობას, ეს მათთვის განსაკუთრებით რთული გადასატანია, რადგან საკუთარ მიწასთან დამოკიდებულების მძაფრი გრძნობა აქვთ. იძულებით გადაადგილებაზე ეროვნული რეაგირება უნდა ეფუძნებოდეს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს. რა თქმა უნდა, ეროვნული რეაგირების საშუალებით უნდა აღმოიფხვრას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დანაწევრება, რაც იწვევს გარკვეული ჯგუფების გარიყვას ერის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებიდან, უსამართლობას და სოციალურ დაყოფას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას და იძულებით გადაადგილებას.

- **ყველა საჭიროება:** იძულებით გადაადგილებულთა მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობა მოითხოვს პრობლემის მოგვარებას მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. უდავოდ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იძულებით გადაადგილებულთა ისეთ საჭიროებებს, როგორიცაა – საკვები, სასმელი წყალი, თავშესაფარი, სამედიცინო მომსახურება და სხვა ძირითადი ჰუმანიტარული დახმარება. თუმცა ეროვნული რეაგირებისთვის საჭიროა, და მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია, ინტეგრირებულ მიდგომებზე, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც დაცვის,

ისე დახმარების ასპექტებს. ეს ეხება ისეთი სტიქიური უბედურებების შემთხვევებსაც, როდესაც აშკარაა მატერიალური დახმარების საჭიროება, მაგრამ დაცვის სერიოზული საკითხები მაინც წარმოიშობა. უფრო მეტიც, დაცვაში იგულისხმება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების მთელი წყება, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები.

- **ყველა ფაზა:** ეროვნული პასუხისმგებლობა მოიცავს იძულებითი გადაადგილების ყველა ფაზას. იგი ითვალისწინებს თვითნებური იძულებითი გადაადგილების პრევენციას, იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას და მათი დუხჭრი მდგომარეობიდან გამოსვლის საიმედო პირობების შექმნას. ეს შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობითი და უსაფრთხო დაბრუნებით ან განსახლებით, და რეინტეგრაციით. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ „როდის დგება იძულებითი გადაადგილების დასასრული“, მიღებული უნდა იქნეს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.[4]
- **ხელისუფლების ყველა შესაბამისი დონე და შტო:** ჭეშმარიტი ეროვნულობისთვის საჭიროა, რომ მთავრობის რეაგირება იძულებითი გადაადგილების მიმართ ხელისუფლების ყველა დონეზე იქნეს გამოხატული. ჩვეულებრივ, დედაქალაქში მოღვაწე ოფიციალურ პირებს, სურთ გადამწყვეტი როლი შეასრულონ იძულებითი გადაადგილების მიმართ მთავრობის რეაგირების ჩამოყალიბებაში. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც უფრო პირდაპირ კონტაქტში არიან იძულებით გადაადგილებულებთან და საგულისხმო როლს ასრულებენ ადგილზე ეროვნული პასუხისმგებლობის ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფაში. გარდა ამისა, ეროვნულ რეაგირებას ხელისუფლების ყველა შტოს კოლექტიური მოქმედება სჭირდება, ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებების, ჯანდაცვის, საცხოვრებლის, განათლების, განვითარებისა და პოლიტიკური სექტორების ჩათვლით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხედრო ძალები და პოლიცია, რომლებსაც საგულისხმო პასუხისმგებლობა ეკისრებათ იძულებით გადაადგილებულ პირთა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.
- **ყველა დაზარალებული ტერიტორია:** მთავრობებს, განსაკუთრებით შიდა შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში, შესაძლოა არ ჰქონდეთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის საშუალება. მთელ მსოფლიოში მილიონობით იძულებით გადაადგილებული პირი იმყოფება ტერიტორიებზე, რომლებსაც არასახელმწიფო სუბიექტები აკონტრო-

ლებენ. ასეთი დევნილები მოკლებულნი არიან მთავრობის დახმარებასა და დაცვას. ეროვნული პასუხისმგებლობის ეფექტიანი განხორციელება გულისხმობს ამგვარი კატეგორიის იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის, დახმარებისა და დაცვის უზრუნველყოფას, ან, სულ მცირე, ამ მიზნით ძალისხმევის გაწევას. ასეთ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული სივრცის გახსნა კარგი შესაძლებლობაა არასახელმწიფო სუბიექტებისთვის მათი პასუხისმგებლობის შესახსენებლად: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და **სახელმძღვანელო პრინციპების** საფუძველზე მათაც ეკისრება იძულებით გადაადგილებულთა დაცვისა და დახმარების პასუხისმგებლობა. ამრიგად, მთავრობებმა უნდა შეიმუშავონ დახმარების ნუსხა, რომელთა გაწევაც შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რელიგიურ ჯგუფებს, დონორებს ან გაეროს დაწესებულებებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ჰუმანიტარული სივრცის გახსნას და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფას არასახელმწიფო სუბიექტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, ხოლო საბოლოოდ, ასევე, კონფლიქტების დარეგულირებას, რომლებმაც ამ ადამიანთა იძულებითი გადაადგილება გამოიწვია.

ეროვნული პასუხისმგებლობის ეტალონური მახასიათებლები

სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულ ნორმატიული ჩარჩოსთან და ეროვნული რეაგირების ძირითადი მახასიათებლების იდენტიფიცირების კონცეპტუალურ სქემასთან ერთად, საჭიროა განიმარტოს იძულებით გადაადგილებულთა პრობლემების მოგვარებისას რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ეროვნული პასუხისმგებლობის რეალიზებისთვის. რა თქმა უნდა, შესაძლებელია განისაზღვროს ეროვნული პასუხისმგებლობის კონკრეტული ინდიკატორები ან ეტალონური მახასიათებლები. კერძოდ, განსაზღვრულია 12 ძირითადი ნაბიჯი, რომლებიც მთავრობას შეუძლია გადადგას ეროვნული პასუხისმგებლობის ეფექტიანი განხორციელებისა და იძულებით გადაადგილებულთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ამომწურავი ნუსხა, ეს ეტალონური მახასიათებლები მოიცავენ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც ეროვნული პასუხისმგებლობის რეალიზებას უწყობს ხელს, და რომლებსაც, მთავრობების მიერ გამოყენების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა შეუძლია იძულებით გადაადგილებულთა დაცვისა და დახმარების კუთხით.

პრევენცია

პრევენცია უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ზომაა. მთავრობა ვალდებულია – და ეს სახელმძღვანელო პრინციპებშია (პრინციპები 5–9) ჩამოყალიბებული – თავიდან აიცილოს მის ტერიტორიაზე ისეთი მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პირთა იძულებითი გადაადგილება, მინიმუმამდე შეამციროს გარდაუვალი იძულებითი გადაადგილება და მის მიერ მიყენებული ზიანი, და უზრუნველყოს, რომ გადაადგილება არ გაგრძელდეს იმაზე მეტხანს, ვიდრე ამას მოცემული ვითარება მოითხოვს.

კერძოდ, ადამიანები დაცული უნდა იყვნენ თვითნებური გადაადგილებისგან. ამ მიზნით უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოებმა განახორციელონ პრევენციული სტრატეგიები, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვისთვის ხელსაყრელი გარემოს კულტივირება, ადრეული გაფრთხილებისა და სწრაფი რეაგირების მექანიზმების შემუშავება, რათა დაცული იქნეს საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობა.

ადამიანთა ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს კანონიერი, უნდა აკმაყოფი-

ლებდეს პირობებს და უნდა შეესაბამებოდეს მე-7 პრინციპში ჩამოყალიბებულ გარანტიებს, ადგილმონაცვლეობის ყველა რეალისტური ალტერნატივის წინასწარი შესწავლის ჩათვლით. ხელისუფლებამ ასევე ზომები უნდა მიიღოს, რათა ყოველი გადაადგილებული პირი უზრუნველყოფილი იქნეს თავშესაფრით, ხოლო აღნიშნული გადაადგილება განხორციელდეს უსაფრთხოების, კვების, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში, და რომ არ მოხდეს ერთი ოჯახის წევრების დაშორება. თუ იძულებითი გადაადგილება ხდება სხვა ვითარებაში, გარდა შეიარაღებული კონფლიქტებისა და უბედურების კრიტიკული სტადიებისა, მაშინ ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს შემდეგი ზომები:

- * კანონით უფლებამოსილი ხელისუფლების პირთა მიერ უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებები ამ ზომების შესახებ;
- * გადაადგილებულმა პირმა უნდა მიიღოს ინფორმაცია გადაადგილების მიზეზებისა და პროცედურების შესახებ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, კომპენსაციისა და განთავსების შესახებ;
- * გადასადგილებელ პირთაგან მიღებული უნდა იქნეს ძალდაუტანებელი და გააზრებული თანხმობა;
- * დაზარალებულთა ჩართვა, განსაკუთრებით ქალების, მათი ხელახალი განსახლების დაგეგმვასა და მართვაში; და
- * დაზარალებულთა უზრუნველყოფა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებით.

ყველაზე მთავარი პრინციპის თანახმად, გადაადგილება არ შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ დაირღვეს დაზარალებულთა სიცოცხლის, ღირსების, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება. გარდა ამისა, სახელმწიფოებს აკისრიათ განსაკუთრებული მოვალეობა – გადაადგილებისაგან დაიცვან მკვიდრი მოსახლეობა, აგრეთვე უმცირესობები, გლეხები, მწყემსები და მოსახლეობის სხვა ჯგუფები, რომელნიც განსაკუთრებით არიან დამოკიდებული და მიმაგრებული საკუთარ მიწაზე.

2 პრობლემის შესახებ ეროვნული ცნობიერების ამაღლება

როდესაც ხდება იძულებითი გადაადგილება, ეფექტიანი ეროვნული რეაგირების პირველი უმთავრესი ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე პრობლემის არსებობის აღიარება და მისი პასუხისმგებლობის გააზრება ამ პრობლემის მოგვარების მიმართ. იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობაზე რეაგირების მიზნით მთავრობის მიერ საჯარო განცხადებების გაკეთება, მასმედიის გამოყენება და სტრატეგიების შემუშავება მის მიერ პრობლემისა და მასზე რეაგირების პასუხისმგებლობის აღიარების საშუა-

აღებებია. მთავრობის მიერ სახელმძღვანელო პრინციპების აღიარება და გამოყენება ასევე მნიშვნელოვანი ნიშანია მის მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციფიკური საჭიროებების აღიარების, აგრეთვე სახელმწიფოს ვალდებულებების აღიარების მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მათი უფლებების დაცვის კუთხით.

იძულებითი გადაადგილების აღიარება იმავდროულად პრობლემის შესახებ ეროვნული ცნობიერების ამაღლებას, საკითხის გარშემო ეროვნული კონსენსუსის შემუშავებას და კრიზისის მოგვარებისთვის ეროვნული პრიორიტეტის მინიჭებას მოითხოვს. იგი აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს იძულებით გადაადგილებულთა მიმართ ეროვნული სოლიდარობის განვითარებას. ეს უმნიშვნელოვანესია მათ დასაცავად და ეთნიკური, რასობრივი და იდეოლოგიური სტიგმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც იძულებით გადაადგილებულთა მიმართ საკმაოდ ხშირად წარმოიშობა. ასეთი სტიგმა იძულებით გადაადგილებულ პირებს დამატებით რისკს უქმნის, აფერხებს მათ მიერ საკუთარი მოთხოვნების გამჟღავნებას, აძლიერებს მათ ჩრდილში დგომას და ართულებს რეინტეგრაციას მათი მზარდი მარგინალიზაციის გამო.

ეროვნული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს საკითხისადმი მგრძნობელობის ამაღლების კამპანიას, რომელიც ხელისუფლების ყველა შესაბამის ორგანოს უნდა შეეხოს, სამხედრო ძალებისა და პოლიციის ჩათვლით. მან იმავდროულად საზოგადოების სფეროც უნდა მოიცვას, რამეთუ იძულებით გადაადგილებულთა პრობლემის მოგვარების ეროვნული პასუხისმგებლობა არის კონცეფცია, რომელიც მოიცავს და ხორციელდება საზოგადოების ყველა ფენის მიერ. ასეთი კამპანიები განსაკუთრებით შედეგიანი იქნება, როდესაც მათი შემუშავება ხდება სამოქალაქო საზოგადოებასთან და გადაადგილებულ თემებთან კონსულტაციების საფუძველზე. რა თქმა უნდა, იძულებითი გადაადგილების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის კამპანიის მნიშვნელოვანი კომპონენტია იძულებით გადაადგილებულთათვის დახმარების გამწევი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფების მუშაობის მიმართ ხელისუფლების მხრიდან ყურადღების მიქცევა. ძალზე ხშირად ისინი ასეთ დახმარებას ისეთ პირობებში ახორციელებენ, რომ მძიმე რისკის ქვეშ აყენებენ საკუთარ ფიზიკურ უსაფრთხოებას.

მონაცემთა შეგროვება

საიმედო ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობის, ადგილმდებარეობის და პირობების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია მათი საჭიროებების მოსაგარებლად და მათი უფლებების დაცვის ეფექტიანი პოლიტიკისა და პროგრამების შესამუშავებლად.

საჭიროა მონაცემთა განშლა ასაკის, სქესის და სხვა მნიშვნელოვანი მაჩ-

ვენებლების მიხედვით, რათა განხორციელდეს სათანადო რეაგირება იძულებით გადაადგილებულ პირთა კონკრეტული ჯგუფების მოთხოვნებზე. ასეთ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: ოჯახის უფროსი ქალები, უპატრონო ბავშვები, ხანდაზმულები, ხეიბრები, ეთნიკური უმცირესობები და მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები. იგი უნდა მოიცავდეს ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს, იმის მიუხედავად, თუ სად ცხოვრობენ ისინი – ბანაკებში, მასპინძელ ოჯახებში თუ სადმე სხვაგან აქვთ თავშესაფარი. ყურადღება ასევე უნდა მიექცეს იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა კატეგორიას, შეირაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის და ადამიანის უფლებათა დარღვევების შედეგად ადგილმონაცვლეთა ჩათვლით, ასევე მათ, ვინც ადგილმონაცვლე გახდა სტიქიური უბედურებების, განვითარების პროექტების ან სხვა მიზეზთა გამო. გარდა ამისა, იძულებით გადაადგილებულთა შესახებ ინფორმაცია საჭიროა არა მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში, არამედ იძულებითი გადაადგილების გატიანურებულ შემთხვევებშიც. დროთა განმავლობაში უნდა ხდებოდეს ამ ინფორმაციის განახლება, იძულებით გადაადგილებულთა საჭიროებების ცვლილებათა შესაბამისად. ასევე საჭიროა ინფორმაციის შეგროვება იმ გადაადგილებული მოსახლეობის შესახებ, ვინც ცხოვრობს მეამბოხე ჯგუფების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ მონაცემების შეგროვებამ არანაირი ზიანი არ უნდა მიაყენოს მათ უსაფრთხოებას, დაცვას და გადაადგილების თავისუფლებას. განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო გადაადგილებულ პირთა ისეთი სიტუაციების მიმართ, როდესაც მათ აშინებთ საკუთარი თავის გამჟღავნება, ან არა აქვთ სათანადო დოკუმენტები. ინფორმაციის შეგროვება დაკავშირებული უნდა იყოს იძულებით გადაადგილებულთა დაცვასთან და დახმარებასთან, ასევე მათთვის სირთულეების დაძლევის გზების მოძიებასთან. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მკვლევარებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ იძულებით გადაადგილებულთა შესახებ მონაცემების შეგროვების გამოცდილება და ცოდნა; მონაცემთა შეგროვებისას სახელმწიფოებს შეუძლიათ ისარგებლონ მათი დახმარებით.

მთლიანობაში, ქვეყანაში იძულებითი გადაადგილების შესახებ მონაცემთა შეგროვება მიზნად უნდა ისახავდეს იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობის, მათი საჭიროებებისა და პირობების შესახებ ნათელი სურათის შექმნას, რათა გაძლიერდეს მათი დახმარებისა და დაცვის ძალისხმევა. ამრიგად, მონაცემა შეგროვება, თავისი მიზნით, ძირითადად პროგრამული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას იძულებით გადაადგილებული პირები მონაცემთა შეგროვების მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში თუ სხვა ადმინისტრაციულ ინიციატივებში (რეგისტრაციის

პროცესის ჩათვლით), ისინი მაინც სარგებლობენ მათი სამართლებრივი უფლებებით, კერძოდ, საკუთარი სახელმწიფოს მხრიდან დაცვისა და დახმარების უფლებით.

ტრენინგი იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხზე

ძალზე მნიშვნელოვანია ხელისუფლების წარმომადგენელთა ტრენინგი იძულებით გადაადგილებულთა უფლებების საკითხზე, რადგან ასეთი ტრენინგი მათ საშუალებას მისცემს გააცნობიერონ იძულებით გადაადგილებულთა დაცვისა და დახმარების ვალდებულება. იგი ასევე ე ამ ვალდებულების წარმატებით შესრულებისთვის მთავრობის შესაძლებლობების განმტკიცების და მისი ანგარიშვალდებულების ელემენტიცაა. კერძოდ, ტრენინგი უნდა მოიცავდეს:

- * ეროვნულ დონეზე მთავრობის პოლიტიკის შემუშავებელ ოფიციალურ პირებს;
- * რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებსაც პირდაპირი კონტაქტი აქვთ გადაადგილებულ პირებთან და პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელებაზე უშუალოდ ადგილებზე;
- * სამხედრო ძალებს და პოლიციას, რომლებიც მთავარ როლს უნდა ასრულებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის უზრუნველყოფაში;
- * იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკების ადმინისტრაციებს, ასევე ჰუმანიტარულ დახმარებაზე და ადამიანის უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებს;
- * ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების კომპეტენტურ პირებს და თანამშრომლებს;
- * პარლამენტარებს, რადგან ისინი წამყვან როლს ასრულებენ კანონმდებლობის განვითარებაში;
- * სახელმწიფო ასევე უნდა მიესალმოს ტრენინგს იძულებით გადაადგილებულთა უფლებების საკითხზე სამოქალაქო საზოგადოებისთვის, და, რაც მთავარია, თვით იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომლებმაც უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებების შესახებ.

ტრენინგი უნდა შეეხოს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებსა და სახელმწიფოთა ვალდებულებებს მათ მიმართ, როგორც ეს **სახელმძღვანელო პრინციპებშია** მოცემული. იგი უნდა მოიცავდეს ადგილმონაცვლეობის ყველა ფაზას, პრევენციის, სწრაფი რეაგირების და საიმედო გადაწყვეტის ჩათ-

ვლით. ამ საკითხების მომცველი ტრენინგის მოდული უკვე არსებობს და სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ იგი საკუთარი ტრენინგის ინიციატივების საფუძვლად ან მოითხოვონ ტრენინგ-სემინარების ჩატარება. იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე ტრენინგის ეს მოდულები სწორედ სახელმწიფოს მოთხოვნის შედეგად შემუშავდა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს **გლობალური იგპ პროექტისა** და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ 1999 წელს.[5]

ტრენინგისთვის სასარგებლო იქნება განხილული იქნეს ის ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს, ასევე სხვადასხვა სტრატეგიები, რომლებიც მთავრობას შეუძლია გამოიყენოს მისი ეროვნული პასუხისმგებლობის ეფექტიანად განხორციელებისთვის. ამ მხრივ საგულისხმოა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული **მიგრაციის მართვის საფუძვლები ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის და პრაქტიკოსებისთვის**, რომელიც შეიცავს მოდულს იძულებითი გადაადგილების შესახებ. ეს მოდული, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში ეროვნული პასუხისმგებლობის მნიშვნელობის ხაზგასმასთან და სახელმძღვანელო პრინციპების რეგულაციების გამოკვეთასთან ერთად, განსაზღვრავს და აღწერს იმ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც სახელმწიფოს შეუძლია გადადგას იძულებით გადაადგილებულთა მიმართ მისი ვალდებულების განხორციელების მიზნით.[6] ინსტრუქციის ხასიათის კიდევ ერთი მოხსენება გამოქვეყნებულია თანამეგობრობის მიერ, რომელიც არის სახელმწიფოთა „საუკეთესო პრაქტიკის“ კრებული ადგილმონაცვლეობის პრობლემის მოსაგვარებლად თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოებისთვის. [7] გარდა ამისა, ამერიკის კონტინენტის ქვეყნებისთვის ჩატარდა რეგიონული სემინარი იძულებითი გადაადგილების საკითხზე, რომელმაც მოიწონა რეგიონის სახელმწიფოთა ეროვნული პასუხისმგებლობის სამოქმედო ჩარჩო.[8]

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო

ვინაიდან დაცვა თავისი არსით სამართლებრივი ცნებაა, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო ეროვნული ვალდებულების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასახვაა. იგი იმავდროულად ამ ვალდებულების შესრულების მამოძრავებელი ძალაცაა.

მსოფლიოს ყველა კუთხეში ქვეყნების მიერ იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონების მიღებით დადასტურდა, რომ ასეთი პრაქტიკა ფასდაუდებელია იძულებით გადაადგილებულ პირთა განსაზღვრის, მათი უფლებების ჩამოყალიბების და მათ მიმართ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის დადგენის თვალსაზრისით. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოებმა მიიღეს კანონები ად-

გილმონაცვლეობის გარკვეული ფაზის შესახებ, როგორცაა, მაგალითად, დაბრუნება და განსახლება, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მინიმალური სტანდარტები, რომელთა დაცვაც აუცილებელია. ზოგ სახელმწიფოს მიღებული აქვს ყოვლისმომცველი ეროვნული კანონები იძულებითი გადაადგილების შესახებ, სადაც ადგილმონაცვლეობის ყველა ფაზაა გათვალისწინებული. კიდევ ერთი მეთოდია არსებული ეროვნული კანონმდებლობის განხილვა და ანალიზი იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით, რამაც, შესაბამისად, საფუძველი უნდა დაუდოს სამართლებრივი და ადმინისტრაციული მარეგულირებელი აქტების გადასინჯვას. ზოგიერთ ქვეყანაში იურისტთა ჯგუფებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაატარეს ასეთი კვლევა, რისთვისაც გამოიყენეს სახელმძღვანელო პრინციპების ანოტაციები, ხოლო შემდეგ იმუშავეს თავიანთ ხელისუფლებასთან მათი კანონების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.[9]

რა მეთოდიც არ უნდა გამოიყენონ, ეროვნული კანონმდებლობა იძულებითი გადაადგილების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც სახელმძღვანელო პრინციპებშია ასახული. გაეროს რეზოლუციები მოუწოდებენ მსოფლიოს ყველა ქვეყანას, რომელსაც იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა ჰყავს, შეიმუშავონ მტკიცე ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო იძულებითი გადაადგილების შესახებ, სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.[10] ამ მოწოდებამ გამოხმაურება ჰპოვა რეგიონულ დონეზე. თითქმის ერთხმად იქნა აღიარებული, რომ სახელმძღვანელო პრინციპები ძალზე სასარგებლო ინსტრუმენტია იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული კანონებისა და პოლიტიკის შემსამუშავებლად. [11] ამ ძალისხმევისთვის დახმარების გასაწევად, გაეროს გენერალური მდივნის წარმადგენელი იძულებით გადაადგილებულთა ადამიანის უფლებათა საკითხებში, მუშაობს ეროვნულ კანონმდებელთა დამხმარე სახელმძღვანელოზე, რომელშიც მოცემული იქნება მითითებები იმ ძირითად ელემენტებზე, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნულ კანონმდებლობაში იძულებითი გადაადგილების შესახებ.

ეროვნული პოლიტიკა ან სამოქმედო გეგმა იძულებითი გადაადგილების შესახებ

იძულებითი გადაადგილების ეროვნული პოლიტიკის ან სამოქმედო გეგმის მიღება განსაკუთრებული, თუმცა დამატებითი ღონისძიებაა, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის განხორციელებას ემსახურება. მაგალითად, იძულებითი გადაადგილების ეროვნული პოლიტიკა ან სამოქმედო გეგმა უნდა განმარტავდეს იძულებითი გადაადგილებით გამოწვეულ პრობლემებზე რეაგირების ეროვნულ და ადგილობრივ ინსტიტუციურ ვალდებულებებს,

უნდა მიუთითებდეს სხვადასხვა სამთავრობო უწყებების როლებსა და პასუხისმგებლობებზე და უნდა განსაზღვრავდეს მათ შორის კოორდინირების მექანიზმს.

ეროვნული პოლიტიკის ან სამოქმედო გეგმის ჩარჩოდ გამოყენებული უნდა იქნეს **სახელმძღვანელო პრინციპები**. იგი უნდა მოიცავდეს ადგილმონაცვლეობის ყველა ფაზას, პრევენციული მოქმედებებით დაწყებული, ადგილმონაცვალთა დახმარებითა და დაცვით დამთავრებული, დაბრუნების ან განსახლების და რეინტეგრაციის ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვითნებური გადაადგილების პრევენციას, რისთვისაც უნდა შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც თავიდან იქნება აცილებული გადაადგილების გამომწვევი მიზეზები და მინიმუმამდე იქნება შემცირებული გადაადგილებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება. ეროვნული პოლიტიკა ან სამოქმედო გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს ადგილმონაცვლეობის გამომწვევ სხვადასხვა მიზეზებს. ადგილმონაცვლეობას, კონფლიქტებთან და ადამიანის უფლებათა დარღვევებთან ერთად, აგრეთვე იწვევს სტიქიური უბედურებები, ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფები და განვითარების პროექტები. გარდა ამისა, შემუშავებული უნდა იქნეს ზომები, რომლებიც დააკმაყოფილებს იძულებით გადაადგილებულ პირთა კონკრეტული ჯგუფების მოთხოვნებს, როგორიცაა, ოჯახის უფროსი ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები, ასევე მკვიდრი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები.

იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული პოლიტიკა უფრო ეფექტიანია, როდესაც იგი შემუშავებულია იძულებით გადაადგილებულ თემთან სრულყოფილი კონსულტაციების შედეგად. შემუშავების შემდეგ პოლიტიკა ან სამოქმედო გეგმა ფართოდ უნდა გავრცელდეს, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, მათ საკუთარ ენაზე და ადვილად გასაგები ფორმატით. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი პოლიტიკის და პროგრამების ჩამოყალიბებისა და განხორციელებისთვის ხელისუფლებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც შეხება აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებთან. ამ ჯგუფებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ამიტომ მათ შეუძლიათ კარგად გამოხატონ მათი მისწრაფებები და შეხედულებები, წარმოადგინონ სტრატეგიები მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათი უფლებების დასაცავად.

იძულებით გადაადგილებულთა შესახებ ეროვნული პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის მზადყოფნა მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება აღიარებს იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემას და თავის პასუხისმგებლობას ამ პრობლემის მოგვარებაში, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აკეთებს განცხადებას, რომ ამგვარი მოქმედება სა-

ხელმწიფო პრიორიტეტია. გაეროს რეზოლუციები მოუწოდებენ იძულებითი გადაადგილების პრობლემის მქონე ქვეყნებს, შეიმუშავონ ეროვნული გეგმები ან ინიციატივები იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების უზრუნველსაყოფად.[12]

იძულებითი გადაადგილების საკითხებზე პასუხისმგებელი უწყება

იძულებითი გადაადგილების საკითხებზე პასუხისმგებელი ეროვნული უწყების განსაზღვრა შესაძლოა ძალზე მნიშვნელოვანი იყოს პრობლემის მიმართ მუდმივი ყურადღების უზრუნველსაყოფად და მთავრობასა და ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებს შორის კოორდინაციის ხელშესაწყობად. არჩევანისთვის მრავალი უწყება არსებობს. ზოგ ქვეყანაში იძულებით გადაადგილებაზე პასუხისმგებლობის მანდატი არსებულ სამთავრობო უწყებას ეძლევა, მაგალითად, ისეთ სამთავრობო სტრუქტურას, რომელიც ლტოლვილთა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობს. ზოგ ქვეყანაში კი განისაზღვრება უწყება, რომელიც მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებზეა ფოკუსირებული. არის შემთხვევები, როდესაც იქმნება სამთავრობო კომიტეტი, სამუშაო ჯგუფი ან ექსპერტთა ჯგუფი იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე. ისინი რეგულარულად ხვდებიან შესაბამის თანამდებობის პირებსა და სამინისტროებისა და დეპარტამენტების წარმომადგენლებს, რათა ერთობლივად განიხილონ იძულებით გადაადგილებულთა საჭიროებები, ხელი შეუწყონ კოორდინაციას, მათ შორის, საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან და ასევე შეიმუშავონ სტრატეგიები ეფექტიანი რეაგირებისთვის.

რომელი ინსტიტუტიც არ უნდა შეირჩეს, იძულებით გადაადგილებულ პირებზე ეროვნული პასუხისმგებელი უწყებისთვის მთავარია, რომ მას ჰქონდეს როგორც დაცვის, ისე დახმარების მანდატი. მის პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგის კურსი იძულებითი გადაადგილების საკითხებზე და განსაკუთრებით კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი **სახელმძღვანელო პრინციპები**. მათ უნდა შეძლონ წამყვანი როლის შესრულება ეროვნულ ძალისხმევაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების პატივისცემა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება. ეს შეიძლება ასევე მოიცავდეს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის პრობლემის საიმედო გადაწყვეტის ალტერნატივებს შორის არჩევანს, კერძოდ, დაბრუნებასა და განსახლებას შორის. ასევე არ უნდა მოხდეს მათზე ზეწოლა ისეთ ტერიტორიებზე დაბრუნების ან განსახლების მიზნით, სადაც სიტუაცია არ არის უსაფრთხო ან სტაბილური. ეფექტიანობის მიზნით ამ უწყებას უსათუოდ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური უფლებამოსილება, ასევე თავისი მანდატის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.

იძულებით გადაადგილებულთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობა კარგ სამსახურს გაუწევს იმ ინსტიტუციური სტრუქტურის საქმიანობას, რომელსაც იძულებით გადაადგილებული პირებისთვის გამიზნული ეროვნული ძალისხმევის კოორდინაცია ევალება. იძულებითი გადაადგილების სიტუაციებზე ეროვნული და საერთაშორისო რეაგირება უფრო გააზრებული და მტკიცეა, როდესაც პარტნიორობა შედუღებულია იძულებითი გადაადგილების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან. ასეთი პარტნიორობა იმავდროულად ეკონომიურიცაა, რადგან „ექსპერტთა“ საზღვარგარეთიდან ჩამოყვანა შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს; გარდა ამისა, გარედან მოწვეული ექსპერტების მოკლე დროში უკან გამგზავრების შემდეგ ადგილობრივი შესაძლებლობები რაიმე ხელშესახები გაუმჯობესების გარეშე დარჩება. კარგი შედეგის მომტანია ეროვნულ გეგმებსა და პროგრამებში ადგილობრივი შესაძლებლობების განმტკიცების და არასამთავრობო ორგანიზაციათა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფების უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების ჩართვა.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების როლი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ძალისხმევის განმტკიცებაში და ადამიანის უფლებათა დაცვაში. ისინი სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად არიან აღიარებული და საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობენ, რადგან მათ ხშირად გავლენიანი და გამოჩენილი ადამიანები ხელმძღვანელობენ – პენსიაზე გასული მოსამართლეები ან ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველები. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ქვეყნებში, სადაც იძულებით გადაადგილებული პირები არიან, კერძოდ, მათ დაცვაში და ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფაში. მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოები, რაც გაეროს რეზოლუციებშია ასახული. [13]

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ეროვნული ინსტიტუტი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, შესაძლებლობათა ნაკლებობას განიცდის, ისინი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იძულებითი გადაადგილების საკითხებს. [14] მაგალითად, მათი ძალისხმევის მხარდასაჭერად, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების აზიის წყნარი ოკეანის ფორუმმა შეიმუშავა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მისი წევრი ინსტიტუტების შესაძლებლობათა შეფასებას იძულებითი გადაადგილების თვალსაზრისით და დახმარების მობილიზებას მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული პრობლემების მოგვარების მოწინავე გამოცდილება ითვალისწინებს სახელმწიფოთა მიერ იძულებითი გადაადგილების აღიარებას ადამიანის უფლებათა საკითხად, რომელიც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მანდატში შედის და ამ ინსტიტუტებისთვის მზარდი რესურსების გამოყოფას, რათა მათ პრობლემაზე რეაგირება შეძლონ. ქვემოთ ჩამოთვლილია ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ და დაიცვან იძულებით გადაადგილებულთა უფლებები:

- * იძულებით გადაადგილებულ პირთა პირობების მონიტორინგი, რათა ისინი სარგებლობდნენ იმავე უფლებებით, რომლებითაც ქვეყნის სხვა მოქალაქეები სარგებლობენ და არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას საკუთარ უფლებებზე ხელმისაწვდომობის ძიების პროცესში და მიიღონ დაცვა და დახმარება მათი მოთხოვნის შესაბამისად;
- * იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის ფაქტებზე მოკვლევის ჩატარება და ხელისუფლებისთვის ქმედითი რეაგირების მოთხოვნა;
- * გადაადგილების შესახებ ადრეული გაფრთხილების შემდგომი მოქმედებების კონტროლი და ხელისუფლების მიერ მოსახლეობის თვითნებური გადაადგილებისაგან დაცვის უზრუნველყოფა, ასევე ხელისუფლების მიერ იძულებით გადაადგილებულებთან დაკავშირებული დადგენილებების შესრულების უზრუნველყოფა, **სახელმძღვანელო პრინციპებში** დადგენილი გარანტიების შესაბამისად;
- * მთავრობისთვის კონსულტაციის გაწევა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების შესახებ, ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოებთან მუშაობა იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის განვითარებისთვის, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპებზე იქნება დაფუძნებული, და მთავრობასთან თანამშრომლობით პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში დახმარების გაწევა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ეფექტიანი რეაგირება იძულებითი გადაადგილების სიტუაციებზე;
- * ხელისუფლების მიერ ეროვნული კანონმდებლობის შესრულებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგი და მოხსენების წარდგენა, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ ეროვნული პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების კონტროლი;
- * საგანმანათლებლო ღონისძიებათა და ტრენინგის პროგრამების განხორციელება, განსაკუთრებით სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, სამხედრო

და სამართალდამცავი უწყებებისთვის, სადაც აქცენტი უნდა გაკეთდეს ცნობიერების ამაღლებაზე, ქალების, ბავშვების და მაღალი მოწყვლადობის სხვა ჯგუფებისთვის დახმარების გაწევის საკითხებზე;

- * იძულებით გადაადგილებულ პირთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა იმ ინიციატივების შესახებ, რომლებიც მათთვის უნდა განხორციელდეს და მათი ჩართვა წინადადებათა შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- * მჭიდრო ურთიერთობების დამყარება იძულებით გადაადგილებულ პირთა გაერთიანებებთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დამცველ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან;
- * მონიტორინგის უზრუნველყოფა იმ ტერიტორიებზე, სადაც იძულებით გადაადგილებულ პირებს განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებათ;
- * იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ან განსახლების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ მოქმედებათა ნებაყოფლობითი და უსაფრთხო განხორციელება;
- * ქსელური მუშაობა სხვა ქვეყნების ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან და შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან, იძულებითი გადაადგილების სფეროში ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარება საუკეთესო პრაქტიკის განვითარების მიზნით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ დაცვა და ჰუმანიტარული დახმარება საკუთარი ხელისუფლებისაგან. აუცილებელია არსებობდეს ისეთი გარემო, რომელშიც იძულებით გადაადგილებული პირები საკუთარ აზრს გამოხატავენ დასჯის ან დევნის შიშის გარეშე.

თუმცა, ძალზე ხშირად, იძულებით გადაადგილებული პირები დახმარებას იღებენ ისეთ გარემოში, სადაც მათ არა აქვთ უფლება ზემოქმედება იქონიონ პოლიტიკაზე თუ პროგრამებზე, ან განაცხადონ თავიანთი პრობლემების შესახებ. ამიტომ, იძულებით გადაადგილებულ პირთა ეფექტიანი დაცვისა და დახმარებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია კონსულტაციები უშუალოდ მათთან. მათ ყველაზე უკეთ იციან თავიანთი პრობლემები და გააზრებული აქვთ მათი მოგვარების გზები. გარდა ამისა, თავიანთ მდგომარეობასთან ბრძოლისას იძულებით გადაადგილებულ პირებს ზოგადად უვითარდებათ

„გამკლავების უნარი“. [15] გადადგილებულთათვის განკუთვნილი პროგრამები ყველაზე ეფექტიანი მაშინ იქნება, როდესაც ისინი იძულებით გადაადგილებულ პირთა უნარების საფუძველზე განმტკიცდება და გაძლიერდება.

იძულებით გადაადგილებებზე ეროვნული და საერთაშორისო რეაგირების წახალისება და განმტკიცება შესაძლებელია თვით იძულებით გადადგილებულ პირებთან კონსულტაციების მეშვეობით. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ვალდებულია წახალისოს და ხელი შეუწყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობას იმ პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომლებიც მათი საჭიროებების მოგვარების და მათი უფლებების დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება. იგი შესაძლოა მოიცავდეს იძულებით გადაადგილებულთა აქტიურ მონაწილეობას დევნილთა ბანაკის მართვაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილნაცვალი ქალების მონაწილეობას იძულებით გადაადგილებულ პირებთან კონსულტაციებში და გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში. ქალები, როგორც ოჯახის ძირითადი მომვლელები, ყველაზე უკეთ გრძნობენ რა არის საჭირო მათი ოჯახის კეთილდღეობისა და უსფრთხოებისთვის. ქალებთან და გოგონებთან კონსულტაცია მათ საკუთარი თავის დაცვის ამალგების და კონკრეტული პრობლემების მოგვარების საშუალებას აძლევს, მაგალითად, უფრო ბრძოლისუნარიანს ხდის სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის წინააღმდეგ, ასევე ყურადღების ცენტრში აყენებს რეპროდუქტიული ჯანმრთელობის საკითხებს, რადგან ისინი უდავოდ დარჩებიან ყურადღების მიღმა, თუკი ჯგუფის სახელით მხოლოდ მამაკაცები ისაუბრებენ. ასევე აუცილებელია ქალთა ჩართულობა საკვების განაწილებაში და საკვების კალათის შემადგენლობის განსაზღვრაში, ბანაკის ან განსახლების სხვა ადგილების მოწყობაში, წყლისა და ფიჩხის შეგროვებაში, და ყველაფერში, რაც დაკავშირებულია ადგილნაცვალი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხოებასთან.

იძულებით გადაადგილებულ პირებთან კონსულტაცია გადაადგილების ყველა ეტაპზეა საჭირო. მაგალითად, ნებისმიერი გადაწყვეტილება იძულებით გადაადგილებულთა განსახლების ადგილის შეცვლის შესახებ უცილობლად უნდა მოხდეს მათთან კონსულტაციის შედეგად, ხოლო გადაადგილებული პირები, განსაკუთრებით ქალები, ჩართული უნდა იყვნენ ადგილის შეცვლის დაგეგმვისა და მენეჯმენტის პროცესში. ჰუმანიტარული დახმარების განაწილებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალთა მონაწილეობა დახმარების დაგეგმვასა და დარიგებაში. ეს აუცილებელია მათ მიმართ სქესობრივი ძალადობისა და ექსპლუატაციის რისკის შესამცირებლად, რომლის წინაშეც ქალები დგანან საკვების მოპოვების დროს. უფრო მეტიც, როდესაც საქმე ეხება გადაადგილების პრობლემის საიმედო გადაწყვეტას, იძულებით გა-

დაადგილებულ პირებთან კონსულტაცია მნიშვნელოვანი კომპონენტია მათი ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლების დასაცავად. გარდა ამისა, განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო დაბრუნების ან განსახლებისა და რეინტეგრაციის დაგეგმვისა და მენეჯმენტის პროცესში იძულებით გადაადგილებულ პირთა სრული ჩართულობის უზრუნველსაყოფად.[16]

გარდა ამისა, სისტემატურად უნდა მოხდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა აზრის შესწავლა და გათვალისწინება სამშვიდობო პროცესებსა და იძულებითი გადაადგილების სიტუაციების დარეგულირების სხვა ინიციატივებში. ამასთანავე, ეროვნული პასუხისმგებლობა ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიტიკური მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფას, როგორც ეს **სახელმძღვანელო პრინციპების 22(დ)** პრინციპშია დადგენილი. ხშირად იძულებით გადაადგილებული პირები დაბრკოლებებს აწყდებიან ხმის მიცემის უფლების რეალიზებისას და ამის გამო ისინი ვერ მონაწილეობენ ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მათ ცხოვრებაზე.[17]

10 საიმედო გადაწყვეტები

იძულებითი გადაადგილების მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობა მოიცავს იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელმისაწვდომობას მათი დუხჭირი მდგომარეობის გაუმჯობესების საიმედო გადაწყვეტაზე. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ან განსახლებისთვის, მათი უფლებების შესაბამისად.

სახელმწიფოები ვალდებული არიან იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუქმნან მათ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პირობები, მათი უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვით, ან მათი სურვილის შემთხვევაში, უზრუნველყონ ისინი ქვეყნის სხვა კუთხეში განსახლებით. უსაფრთხოება საიმედო გადაწყვეტის და ადგილნაცვალთა უფლებების დაცვის მთავარი ელემენტია. კონფლიქტით გამოწვეული გადაადგილების შემთხვევაში მას ჩვეულებრივ სჭირდება კონფლიქტის დასრულება ან იმ გარემოებათა არსებითი ცვლილება, რომლებმაც ადგილმონაცვლეობა გამოიწვია. ასევე საჭირო იქნება ტერიტორიის ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან გაწმენდა. გადაადგილების გამომწვევი მიზეზის მიუხედავად, დაცვის მექანიზმები უნდა არსებობდეს დაბრუნების ან განსახლების ადგილებში, რაც უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა აღდგენის მეშვეობით.

დაუშვებელია იძულებით გადაადგილებულ პირთა წახალისება ან იძულება, დაბრუნდნენ ან დასახლდნენ ისეთ ადილას, სადაც მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება

(პრინციპი 15 “დ”). შესაძლებლობის შემთხვევაში დაბრუნება უნდა მოხდეს მონიტორინგის თანხლებით, რათა დადასტურდეს პროცესის ნებაყოფლობითობა და უსაფრთხო პირობები.

გარდა ამისა, ხელისუფლება პასუხისმგებელია დაეხმაროს იძულებით გადაადგილებულ პირებს საკუთრების აღდგენაში, რომელიც მათ გადაადგილების შედეგად დაკარგეს, ხოლო როდესაც ეს შესაძლებელი არ არის, ხელისუფლება უნდა დაეხმაროს მათ კომპენსაციისა ან რეპარაციის რაიმე სხვა ფორმის მიღებაში. შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა პრობლემა. ხშირად გადაადგილებულთა შორის ცოტას თუ აქვს კანონიერი დოკუმენტი ან სხვა მტკიცებულება მიწის თუ სხვა საკუთრების ფლობაზე. როდესაც ასეთი დოკუმენტები არსებობდა – საკუთრების ჩანაწერები, როგორც ინდივიდუალური, ისე ხელისუფლების მიერ წარმოებული – ისინი შეიძლება განადგურებულიყო ადგილმონაცვლეობის გამომწვევი კონფლიქტის ან სტიქიური უბედურების შედეგად. გარდა ამისა, საკუთრებასა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონები და ჩვეულება ხშირად ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შემცველია. საკუთარი სახლის ან მიწის დაბრუნება ქალებს განსაკუთრებით უჭირთ მეუღლის სიკვდილის შემდეგ, ასევე რთულია მათთვის საცხოვრებელი პირობების აღდგენა და საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა. სახელმწიფო მზად უნდა იყოს ასეთი პრობლემებისათვის და მოავგაროს ისინი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების დაცვით.

როდესაც იძულებით გადაადგილებული პირი ირჩევს დაბრუნებას ან განსახლებას, ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია ხელი შეუწყოს მის რეინტეგრაციას და განამტკიცოს პირობები, რომლებიც მათ ცხოვრების ხელახალი დაწყების საშუალებას მისცემს. რა თქმა უნდა, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ცხოვრების პირობების აღდგენაში ხელშეწყობა და საკუთარი შესაძლებლობების განმტკიცების საშუალებათა უზრუნველყოფა რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაჭიანურებული დამოკიდებულება. ამისთვის საჭიროა თანდათანობითი რეინტეგრაციისთვის ხელშეწყობა, სანამ შესაძლებელი გახდება დაბრუნება ან განსახლება. დაბრუნების ან განსახლების დროს იძულებით გადაადგილებულ პირებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ რეინტეგრაციის დახმარების პაკეტზე, ძირითადი საშუალებების ჩათვლით, როგორიცაა, თესლეული, მექანიზმები და დროებით თავშესაფრად ვარგისი წყალგაუმტარი კარავები.

გარდა ამისა, ვიდრე იძულებით გადაადგილებული პირები მათი მდგომარეობის გამო განსაკუთრებით მოწყვლადი არიან, მათ მუდმივი ყურადღება და დახმარება სჭირდებათ. გადაწყვეტილება „გადაადგილების დასრულების შესახებ“ არ შეიძლება მიიღებოდეს თვითნებურად, იძულებით გადაადგი-

ლებულთა მდგომარეობის, საჭიროებებისა და უფლებების უგულებელყოფით. ნებისმიერ შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების ხასიათი თანდათანობით უნდა იცვლებოდეს – გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარებიდან, უფრო განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიებით, რომლებიც თვითკმარობას უწყობს ხელს და იძულებით გადაადგილებულ პირებს ეკონომიკური და სოციალური რეინტეგრაციის საშუალებას აძლევს. ასეთი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ისეთი ინიციატივების პარალელურად, რომლებიც უზრუნველყოფს სხვა შეჭირვებული მოსახლეობის დახმარებას, და აუცილებლად მთავრობის ძალისხმევასთან კავშირში, რომელიც ინფრასტრუქტურის (მაგ., სკოლების, ჯანდაცვის კლინიკების, გზების და ა.შ.) აღდგენას ემსახურება დაბრუნების ან განსახლების ადგილებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის პროექტებში ქალთა თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფას, ასევე მათ თანასწორ ხელმისაწვდომობას შემოსავლის მიღებისა და მიკრო კრედიტების პროგრამებზე.

აგრეთვე აუცილებელია ღონისძიებათა განხორციელება იძულებით გადაადგილებულ პირთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად დაბრუნების ან განსახლების შემდეგ, რათა მათ თანაბარი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ საზოგადოებრივ მომსახურებაზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე. მათ უნდა შეეძლოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანასწორი მონაწილეობის მიღების უფლება, ხმის მიცემის უფლების ჩათვლით.

მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის საიმედო გადაწყვეტა უნდა უზრუნველყოფდეს არჩევანს ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნებასა და განსახლებას შორის. იძულებით გადაადგილებულ პირებს ასევე უნდა ჰქონდეთ ინდივიდუალური განვითარების, საცხოვრებელი საშუალებების აღდგენის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის საშუალება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კვლევები, რომლებიც საუკეთესო გამოცდილებაზე მიუთითებს იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნების ან განსახლების კუთხით.[18]

და ბოლოს, საიმედო გადაწყვეტის უზრუნველყოფის ვალდებულება სახელმწიფოს ავალებს ეფექტიანად მოავაროს კონფლიქტები ან გადაადგილების გამომწვევი სხვა მიზეზები, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იყო. ჭეშმარიტი ეფექტიანობის და მდგრადობის მიღწევის მიზნით, ასეთ შემთხვევათა გადაწყვეტა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რეაგირებას ფუნდამენტურ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკური უსამართლობაზე, რაც ჩვეულებრივ კონფლიქტისა და გადაადგილების გამომწვევი მიზეზი ხდება. ეთნიკურ ნიადაგზე ან თემთაშორისი დაპირისპირებით გამოწვეული კონფლიქტის შემთხვევაში განსაკუთრებით სასარგებლოა შერიგების ინი-

ციატივების განხორციელება, მაგალითად, ჭეშმარიტების დამდგენი კომისიების მეშვეობით, და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა.

სათანადო რესურსები

იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული სტრატეგიებისა და პროგრამების განხორციელებისთვის და მათთვის საჭირო დახმარების უზრუნველსაყოფად (საკვების, თავშესაფრის, სამედიცინო მომსახურების, განათლების, რეინტეგრაციის დახმარების და სხვა ასპექტების ჩათვლით), ასევე მათი ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად, აუცილებელია ადამიანური და მატერიალური რესურსები. ამიტომ, ეროვნული პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ სახელმწიფომ, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოეყოს რესურსები იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათი უფლებების დასაცავად. ზოგიერთმა ქვეყანამ ეროვნულ ბიუჯეტში სპეციალური ფონდები შექმნა იძულებით გადაადგილებულთა პროგრამებისთვის. სახელმწიფოს, ასევე, შეუძლია შექმნას სპეციალური „იკვ ფონდები“, სადაც დაგროვდება ასიგნაციები ნავთობიდან ან სხვა რესურსებიდან.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთი მთლიანად მარტომ უნდა ზიდოს. რა თქმა უნდა, თუკი სახელმწიფოს არა აქვს საკმარისი საშუალება იძულებითი გადაადგილების პრობლემის მოსაგვარებლად, მას შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს საერთაშორისო საზოგადოებრიობას. რა რაოდენობის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფაც არ უნდა იყოს შესაძლებელი, მათ შორის პოლიტიკისა და პროგრამული ინიციატივების მეშვეობით, ეროვნული ძალისხმევით, საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის გასაწევად მნიშვნელოვანია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი სახელმწიფოს ეროვნულ პრიორიტეტად ჰქონდეს აღიარებული.

თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან

როდესაც სახელმწიფოს არა აქვს თავისი იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, მას შეუძლია ითხოვოს ან მიიღოს საერთაშორისო დახმარება და იმუშაოს საერთაშორისო თუ რეგიონულ ორგანიზაციებთან ერთად გადაადგილებულთა დაცვისა და დახმარების უზრუნველსაყოფად და საიმედო გადაწყვეტის ფორმების დასადგენად. ეროვნული პასუხისმგებლობა, ასევე, ითვალისწინებს თანამშრომლობას იმ რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც იძულებით გადაადგილებულთა სახელით მოქ-

მედებენ მათი ინტერესების დასაცავად. ასეთი ორგანიზაციები სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოებითა და შეუფერხებელი ხელმისაწვდომობით.

რა თქმა უნდა, სახელმძღვანელო პრინციპები ხაზგასმით მიუთითებს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებისთვის ეროვნული ხელისუფლების მიერ „სწრაფი და შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის“ უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე, რაც აუცილებელია იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობამდე მისასვლელად და მისთვის საჭირო დახმარების გასაწევად. ამ ორგანიზაციებს, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, მომსახურების შეთავაზების უფლება აქვთ, თუმცა ასეთი შეთავაზება არ უნდა იქნეს მიჩნეული არამეგობრულ ქმედებად ან სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევად. საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, ასევე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ იძულებით გადაადგილებულ პირებზე დაბრუნების ან განსახლებისა და რეინტეგრაციის დროს, მათთვის დახმარების გაწევის მიზნით.[19]

საერთაშორისო დახმარების მიღება ასევე უნდა ნიშნავდეს ჰუმანიტარული დახმარებით დაკავებული პირების უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფას. ჰუმანიტარულ დახმარებაში ჩართული ადამიანები, მათი ტრანსპორტი და აღჭურვილობა დაცული უნდა იქნეს. მათზე თავდასხმის თავიდან აცილებისა და საფრთხეში მყოფთათვის დახმარების გაწევის მიზნით, ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯები უსაფრთხოების ზომების გასაძლიერებლად, ხოლო მათ მიმართ ძალადობის ჩამდენმა პირებმა პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. როდესაც მთავრობა ვერ ახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას, მან საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან ერთად უნდა განსაზღვროს ალტერნატიული ღონისძიებები, რომლებიც ჰუმანიტარული დახმარებით დაკავებულ პირთა დაცვას უზრუნველყოფს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ადგილზე მიწვევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომლის გადადგმაც შეუძლიათ ქვეყნებს, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული პირები ჰყავთ. ეს საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობის დემონსტრირების კარგი საშუალებაა. ასეთი ვიზიტები წარმომადგენელს მთავრობებთან დიალოგის საშუალებას მისცემს. იგი, ასევე, უშუალოდ შეაფასებს იძულებით გადაადგილებულთა პირობებს და პირადად მოისმენს მათ პრობლემებს. ზოგადად, ასეთი ვიზიტები, ასევე, ემსახურება ეროვნული ინფორმირებულობის ამაღლებას ქვეყანაში იძულებითი გადაადგილების შესახებ, სტიმულს აძლევს იძულებით გადაადგილებულთა სახელით სტრატეგიებისა და პროგრამების განვითარებას და განამტკიცებს თანამშრომლობას სახელმწიფოებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას შორის.

რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც პარტნიორებად მიიჩნევიან, შეუძლიათ განამტკიცონ და მხარი დაუჭირონ იძულებითი გა-

დაადგილების მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობის განხორციელებას და საგულისხმო დახმარება გაუწიონ მას გარკვეული გზებით. ამ გზებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- * ტექნიკური თანამშრომლობის უზრუნველყოფა ისეთ საკითხებში, როგორცაა, მონაცემთა შეგროვება, რეგისტრაცია, ეროვნული კანონების და პოლიტიკის შემუშავება იძულებითი გადაადგილების საკითხებზე, საკუთრების რესტიტუციისა და კომპენსაციის ჩათვლით;
- * **სახელმძღვანელო პრინციპების** შესახებ და იძულებითი გადაადგილების სხვა საკითხებზე ტრენინგის შეთავაზება;
- * ადგილებზე ვიზიტების განხორციელება იძულებით გადაადგილებულთა პირობების შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო რეაგირების განმტკიცებას, და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული დაწესებულებებისთვის მოხსენების წარდგენა რეკომენდაციების განხორციელების შესახებ;
- * ხელისუფლების ყურადღების მიქცევა თვითნებური გადაადგილების ადრეული გაფრთხილებისთვის და საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტიანი რეაგირების შეთავაზება, ნებისმიერი შესაძლო დახმარების გაწევა დაცვის ეროვნული რეაგირების მხარდასაჭერად;
- * მონიტორინგის დაწესება ისეთ ადგილებში (ბანაკების ჩათვლით), სადაც არსებობს დაცვის სერიოზული პრობლემები, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს იძულებით გადაადგილებულ პირთა ფიზიკურ უსაფრთხოებას; იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ საფრთხეებისგან დასაცავად სტრატეგიების შემუშავება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სქესობრივი ძალადობის და ექსპლუატაციის რისკებს, ასევე ბავშვთა შეიარაღებულ ძალებში გაწვევას;
- * იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების და განსახლების მონიტორინგი, შესაძლებლობის შემთხვევაში – იძულებით გადაადგილებულთა თანხლება, რათა დადასტურდეს, რომ პროცესი არის ნებაყოფლობითი და ხორციელდება უსაფრთხოების პირობებში, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოების მონიტორინგი მათი დაბრუნების ან განსახლების შემდეგ;
- * იძულებით გადაადგილებულ პირთა გაერთიანებების შექმნისთვის ხელშეწყობა, **იგბ** ქალთა გაერთიანებების ჩათვლით, რათა განმტკიცდეს იძულებით გადაადგილებულთა საკუთარი ძალისხმევა თავიანთი პრობლე-

მების მოგვარებაში და გააქტიურდეს მათი მოქმედება საკუთარი უფლებების დასაცავად;

- * დიალოგის ხელშეწყობა მთავრობებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- * სახელმწიფოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მყოფი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დახმარების გაწევა და არასახელმწიფო სუბიექტების პასუხისმგებლობის განმტკიცება – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და **სახელმძღვანელო პრინციპების** საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გადაადგილებულთა დახმარება; ხოლო იქ, სადაც შესაძლებელია, მთავრობასა და არასახელმწიფო სუბიექტებს შორის მოლაპარაკებებისთვის ხელშეწყობა ჰუმანიტარული სივრცის შექმნისა და კონფლიქტის დასრულების მიზნით;
- * დახმარების გაწევა სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ცდილობენ ეფექტიანად განახორციელონ ეროვნული პასუხისმგებლობა იძულებით გადაადგილებულთა მიმართ, რაც შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს ტექნიკური თანამშრომლობის მეშვეობით, ასევე ნებისმიერი საჭირო დახმარების გაწევით რესურსების მობილიზების და ფონდების ადმინისტრირების პროცესში.

საერთოდ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეროვნული შესაძლებლობა საკმარისი არ არის, იძულებითი გადაადგილების პრობლემის მოსაგვარებლად საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ეროვნული პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო და რეგიონული ძალისხმევა, რომელიც მასობრივი გადაადგილების სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული შესაძლებლობის გაძლიერებას ემსახურება, განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება იქ, სადაც სახელმწიფოს აქვს სურვილი, მაგრამ არ შეუძლია შეასრულოს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულება. საერთაშორისო საზოგადოებრიობის ჩართვა ეროვნული პასუხისმგებლობის განმტკიცებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთ სიტუაციებში, როდესაც პრობლემის მოგვარების მიმართ ეროვნულ დონეზე არ არსებობს სათანადო პოლიტიკური ნება. თუმცა თვით ასეთ შემთხვევებშიც კი მიზანი უნდა იყოს არა ჩანაცვლება, არამედ იძულებით გადაადგილებულთა დაცვისა და დახმარების პროცესში ეროვნული ძალისხმევის განმტკიცება.

იძულებითი გადაადგილების გლობალური კრიზისი არის პრობლემა, რომელიც, თავისი მასშტაბისა და სირთულის გამო, შეიძლება დაუძლევლად მიიჩნეოდეს. თუმცა საწყისი წერტილი ნათელია: იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა და დახმარება უპირველეს ყოვლისა მათი სახელმწიფოების მოვალეობაა. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები და ეროვნული ხელისუფლების და სხვა სუბიექტების პასუხისმგებლობა მათ მიმართ კარგადაა ცნობილი. ისინი ჩამოყალიბებულია **სახელმძღვანელო პრინციპებში იძულებითი გადაადგილების შესახებ**, რომელიც იძულებითი გადაადგილების სიტუაციებზე რეაგირების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია. თუმცა ნაკლებად ცხადია ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ამ უფლებებისა და პასუხისმგებლობის ეფექტიანი რეალიზაციისთვის.

ამ ხარვეზის გამოსასწორებლად **ეროვნული პასუხისმგებლობის ჩარჩო** განსაზღვრავს 12 ძირითად ნაბიჯს, რომელიც სახელმწიფოს შეუძლია გადადგას იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად, რითაც იგი თავის ვალდებულებას განახორციელებს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ. თითოეული ეს ნაბიჯი, ცალკე აღებული, ეროვნულ ძალისხმევას განამტკიცებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს ეხმარება. ისინი, ერთად აღებული, იძულებითი გადაადგილებით გამოწვეულ პრობლემაზე მასშტაბური რეაგირების ძირითადი კომპონენტია, ხოლო, უფრო კონკრეტულად, ეს არის მთელ მსოფლიოში იძულებით გადაადგილებული მილიონობით პირის დუხჭირი მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მათი, ვინც დაცვასა და დახმარებას საკუთარი მთავრობისგან ელის.

1. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 58/177, 2004 წ., პუნქტი 7; გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუცია 2004/55, 2004 წ., პუნქტი 6.
2. ვოლტერ კალინი, სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ, ანოტაციები, ტრანსნაციონალური სამართლებრივი პოლიტიკის კვლევა, №32 (საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოება და ბრუკინგის ინსტიტუტის პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ, 2000); **იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენების სახელმძღვანელო** (ბრუკინგის ინსტიტუტი და ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის გაეროს ოფისი, 1999).
3. გაეროს ეკონომიკის და სოციალურ საკითხთა საბჭოს რეზოლუცია 2004/5, 2004 წლის 12 ივლისი, პუნქტი 39 და გაეროს ეკონომიკის და სოციალურ საკითხთა საბჭოს რეზოლუცია 2003/5, 2003 წლის 15 ივლისი, პუნქტი 9.
4. გაეროს გადაუდებელი დახმარების კოორდინატორმა და ჰუმანიტარულ საკითხებში გენერალური მდივნის მოადგილემ წარადგინა თხოვნა, განსაზღვრულიყო, თუ როდის აღარ მიიჩნევა პირი იძულებით გადაადგილებულად. მოთხოვნის საპასუხოდ ბრუკინგის ინსტიტუტის-იძულებითი გადაადგილების შესახებ ბერნის პროექტის მიერ, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის საერთაშორისო მიგრაციის კვლევის ინსტიტუტთან და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს გლობალურ იგპ პროექტთან თანამშრომლობით, შემუშავდა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საიმედო გადაწყვეტის ეტალონური მახასიათებლები.
5. ტრენინგის მოდულები იხ. www.idpproject.org
6. **მიგრაციის მენეჯმენტის საფუძვლები პოლიტიკოსებისა და პრაქტიკოსებისთვის: სახელმძღვანელო კურსი** (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2004 წ.). ერინ მუნის მიერ შემუშავებული ამ მოდულის შინაარსი ეფუძნება ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი **ერთვნილი პასუხისმგებლობის ჩარჩოს**.
7. თანამეგობრობის სამდივნო, ადამიანის უფლებათა განყოფილება, ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის მოხსენება თანამეგობრობის ფარგლებში იძულებითი გადაადგილების შესახებ: საერთო თემები და საუკეთესო პრაქტიკის მითითებები, 2003 წლის 19-21 მაისი (2004 წლის ივნისი).
8. გაერო, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გენერალური მდივნის ყოფილი წარმომადგენლის მოხსენება, ფრანცის მ. დენგი, რეგიონული სემინარი ამერიკის კონტინენტზე იძულებითი გადაადგილების შესახებ, მეხიკო სიტი, 18-20 თებერვალი, 2004 წ. გაეროს დოკუმენტი E/CN.4/2005/124 (2004 წლის 7 დეკემბერი).

9. იხ. რობერტა კოჰენი, ვოლტერ კალინი და ერინ მუნეი (რედ.), **სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ და სამხრეთ კავკასიის კანონები**, ტრანსნაციონალური სამართლებრივი პოლიტიკის კვლევები, №34 (საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოება და ბრუკინგის ინსტიტუტის პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ, 2003 წ.).
10. გაეროს ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა საბჭოს რეზოლუცია 2004/5, 2004 წლის 23 ივლისი, პუნქტი 39.
11. იხ., მაგალითად, „ხართუმის დეკლარაცია“, აფრიკის რეგიონის მინისტერიალის კონფერენცია იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, მიღებულია 2003 წლის 2 სექტემბერს, დანართი „ე“, კონფერენცია იძულებითი გადაადგილების შესახებ, ქვერეგიონი: ექსპერტთა შეხვედრის ანგარიში, ხართუმი, სუდანი, 30 აგვისტო – 2 სექტემბერი, 2003 წ. (ბრუკინგის ინსტიტუტი – პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ, 2003 წ.). დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები (ECOWAS), ასევე, იძლევიან რეკომენდაციას იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის განვითარების თაობაზე, სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებით. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ECOWAS-ი შეიმუშავებდა კანონმდებლობის მოდელს, რომელიც კარგი სახელმძღვანელო იქნებოდა ამ თვალსაზრისით. იხ. გაერო, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის მოხსენება, გაეროს დოკუმენტი E/CN.4/2003/86, პუნქტი 32.
12. გაეროს ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა საბჭოს რეზოლუცია 2004/5, პუნქტი 39. იხ. აგრეთვე გაეროს ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა საბჭოს რეზოლუცია 2003/5, 2003 წლის 15 ივლისი, პუნქტი 9.
13. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია, რეზოლუცია 2004/55 (2004 წლის 20 აპრილი), პუნქტები 18 და 21; და რეზოლუცია 2003/51 (2003 წლის 23 აპრილი), პუნქტები 18 და 21.
14. იხ. მაგ., მარიო გომესი, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და იძულებით გადაადგილებული პირები: შრი ლანკას გამოცდილება (ბრუკინგის ინსტიტუტი – პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ, 2002 წლის ივლისი).
15. იხ. ბირგიტე რეფსლუნდ სორენსენი და მარკ ვინცენტი, **საზღვრებში მოქცეული: იძულებით გადაადგილებულთა პრობლემის მოგვარების სტრატეგიები** (ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, 2001).
16. სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ, პრინციპები 7(3)(დ), 18(3) და 28.
17. ერინ მუნეი და ბალკეს იარაჰი, **იძულებით გადაადგილებულ პირთა ხმის მიცემის უფლება: ეუთოს რეგიონი** (ბრუკინგის ინსტიტუტი – პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ, 2004 წლის ნოემბერი).

18. იხ. მაგ., **დაბრუნების დამხმარე ინსტრუმენტები პრაქტიკოსთათვის, განსახლება და რეაბილიტაცია** (კოლომბო: ჰუმანიტარულ უწყებათა კონსორციუმი და ბრუკინგის პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ, 2004 წ.) და **სახელმძღვანელო ადგილზე მუშაობისთვის იძულებითი გადაადგილების საკითხებზე: გაეროს დაწესებულებათა მაგალითები და ადგილზე მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების ინიციატივები იძულებით გადაადგილებულთა მხარდასაჭერად**, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისის უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის სამუშაო ჯგუფი, სტრატეგიული დოკუმენტი სერია №1 (გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი, 1999).
19. სახელმძღვანელო პრინციპები, პრინციპები 25 და 29(2).

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ

შესავალი: მიზნები და ამოცანები

1. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ეხება მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციფიკურ პრობლემებს. მასში მოცემულია ის უფლებები და გარანტიები, რომელიც დაკავშირებულია, როგორც პირთა იძულებით გადაადგილებისაგან დაცვასთან, ასევე მათი გადაადგილების, დაბრუნების ან ახალ ადგილას დასახლებისა და რეინტეგრაციისას დაცვასა და დახმარებასთან.
2. ამ პრინციპების მიზნებიდან გამომდინარე იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათ ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.
3. წინამდებარე პრინციპები ასახავს და შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. იგი სახელმძღვანელოა:
 - ა) გენერალური მდივნის წარმომადგენლისათვის იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ თავისი მანდატის აღსრულებისას;
 - ბ) სახელმწიფოსთვის, სადაც წამოიჭრა იძულებითი გადაადგილების პრობლემა;
 - გ) ყველა სახის პირების, ჯგუფებისა და ოფიციალური უწყებებისათვის, რომელთაც შეხება აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებთან;
 - დ) სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომელთაც შეხება აქვთ იძულებით გადაადგილებასთან.
4. ეს სახელმძღვანელო პრინციპები, რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული და გამოყენებული.

პარი პირველი – ზოგადი პრინციპები

პრინციპი 1

1. იძულებით გადაადგილებული პირები საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, თანასწორობის საფუძველზე უნდა სარგებლობდნენ იგივე უფლებებით და თავისუფლებებით, რითაც სარგებლობენ სხვა პირები თავიანთ ქვეყანაში. მათ არ უნდა განიცადონ რაიმე დისკრიმინაცია მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებაში იმ მიზეზით, რომ ისინი იძულებით არიან გადაადგილებულნი.
2. ეს პრინციპები არ მოდის წინააღმდეგობაში საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ისეთ დანაშაულზე, როგორიც არის გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული.

პრინციპი 2

1. ეს პრინციპები ყოველგვარი არასასურველი განსხვავების გარეშე უნდა დაიცვას და გამოიყენოს ყველა ოფიციალურმა თუ სხვა პირმა და ჯგუფმა, რომელთაც შეეხება აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემასთან, მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა. ამ პრინციპების დაცვა და განხორციელება არ იმოქმედებს აღნიშნული ოფიციალური თუ სხვა პირისა და ჯგუფის სტატუსზე.
2. არ შეიძლება ამ პრინციპების ინტერპრტირება, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დოკუმენტების ან პირისათვის ადგილობრივი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების შემზღუდავი, გამაუქმებელი ან შემცვლელი. კერძოდ, ეს პრინციპები არ ეწინააღმდეგება სხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძიებასა და მისი გამოყენების უფლებას.

პრინციპი 3

1. ეროვნულ ხელისუფლებებს ეკისრებათ უპირატესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რათა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყონ შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით.
2. იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ, მოითხოვონ და მიიღონ დაცვა და ჰუმანიტარული დახმარება საკუთარი ხელისუფლებებისაგან. ისინი არ შეიძლება დევნილნი ან დასჯილი იყვნენ მსგავსი მოთხოვნებისათვის.

პრინციპი 4

1. ეს პრინციპები უნდა გამოიყენებოდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე – განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის თუ მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, სამართლებრივი თუ სოციალური მდგომარეობის, ასაკის, ქმედუნარობის, საკუთრების, დაბადებისა თუ სხვა მსგავსი მაჩვენებლებისა.
2. იძულებით გადაადგილებულ იმ პირებს, როგორებიც არიან ბავშვები, განსაკუთრებით მიუსაფარი არასრულწლოვნები, ორსული ქალები, ჩვილბავშვები ან მარტოხელა დედები, ქმედუნარონი და მოხუცები, უფლება აქვთ დაცვასა და დახმარებაზე, რომელიც განპირობებულია მათი მდგომარეობით და, აგრეთვე, უფლება აქვთ, მათი განსაკუთრებული საჭიროებიდან გამომდინარე, მოპყრობაზე.

პარი მორე – პრინციპები გადაადგილებისგან დაცვის შესახებ

პრინციპი 5

ყველა ხელისუფლებამ და საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედმა პირმა უნდა დაიცვას საერთაშორისო სამართლიდან – მათ შორის ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლიდან, გამომდინარე ვალდებულებები და უზრუნველყოს მათი დაცვა ყველა შემთხვევაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი მდგომარეობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს პირთა იძულებითი გადაადგილება.

პრინციპი 6

1. ყოველ ადამიანს უნდა გააჩნდეს თავისი სახლიდან ან მუდმივი საცხოვრებელიდან თვითნებური გადაადგილებისგან დაცვის უფლება.
2. თვითნებური გადაადგილების აკრძალვა ეხება ისეთ გადაადგილებას:
 - ა) რომელიც ემყარება აპარტეიდის პოლიტიკას, ეთნიკურ წმენდას ან მსგავს ქმედებებს გამიზნულს ან რომელსაც შედეგად მოჰყვა დაზარალებული მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი შემადგენლობის შეცვლა;
 - ბ) რომელსაც ადგილი აქვს შეიარაღებული კონფლიქტისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზნები ამას მოითხოვს;
 - გ) რომელსაც ადგილი აქვს განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებისას და როდესაც ეს უკანასკნელი არ არის გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
 - დ) რომელსაც ადგილი აქვს უბედურებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზარალებულთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა მოითხოვს მათ ევაკუაციას;
 - ე) როდესაც იგი გამოიყენება მოსახლეობის კოლექტიური დასჯისთვის.
3. გადაადგილება არ უნდა გაგრძელდეს იმაზე მეტხანს, ვიდრე ამას მოცემული ვითარება მოითხოვს.

პრინციპი 7

1. პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტი-

ლების მიღებამდე პასუხისმგებელი ოფიციალური პირები უნდა დარწმუნდნენ, რომ შესწავლილია ყველა შესაძლო ალტერნატივა, რათა თავიდან იქნას აცილებული სრული გადაადგილება. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის სხვა გამოსავალი, მიღებული უნდა იქნეს გადაადგილების მასშტაბებისა და მისი არასასურველი ეფექტების მინიმუმამდე შემცირების ყველა ზომა.

2. ხელისუფლება, რომელიც აღნიშნულ გადაადგილებას ახორციელებს, მაქსიმალურად უნდა დარწმუნდეს, რომ ყოველი გადაადგილებული პირი უზრუნველყოფილი იქნება თავშესაფრით და აღნიშნული გადაადგილება განხორციელდება უსაფრთხოების, კვების, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში და ერთი ოჯახის წევრებს არ იქნებიან დაშორებული.
3. თუ იძულებით გადაადგილება ხორციელდება სხვა ვითარებაში გარდა, შეიარაღებული კონფლიქტებისა და უბედურების კრიტიკული სტადიებისა, მაშინ შემდეგი გარანტიები უნდა იქნას დაკმაყოფილებული:
 - ა) კანონით უფლებამოსილი ხელისუფლების პირებმა უნდა მიიღონ სპეციფიკური გადაწყვეტილებები ამ ზომების თაობაზე;
 - ბ) სათანადო ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა გადასადგილებელი პირი გარანტირებული იყოს სრული ინფორმაციით გადაადგილების მიზეზებსა და პროცედურებზე და, საჭიროების შემთხვევაში, კომპენსაციასა და განთავსებაზე.
 - გ) იმისათვის, რომ გადაადგილება მოხდეს იძულებით გადასადგილებელი პირების თანხმობით, საჭიროა, რომ ისინი სრულად იცნენ ინფორმირებულნი ვითარების შესახებ და მიეცეთ თავისუფალი არჩევანი;
 - დ) ოფიციალურმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა სცადონ დაზარალებულთა ჩართვა, განსაკუთრებით ქალების, მათი ხელახალი განსახლების დაგეგმვასა და მართვაში;
 - ე) საჭიროების შემთხვევაში, სახელისუფლებო კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ კანონის აღსრულების ღონისძიებები;
 - ვ) დაცული უნდა იქნას უფლება ეფექტურ საშუალებებზე, მათ შორის სათანადო სასამართლო ორგანოების მიერ მსგავსი გადაწყვეტილებების გადასინჯვაზე.

პრინციპი 8

გადაადგილება არ შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ დაირღვეს დაზარალებულთა სიცოცხლის, ღირსების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.

პრინციპი 9

სახელმწიფოებს აკისრიათ განსაკუთრებული მოვალეობა, რათა გადაადგილებისგან დაიცვან მკვიდრი მოსახლეობა, აგრეთვე სახელისუფლებო უმცირესობები, გლეხები, მწყემსები და მოსახლეობის სხვა ჯგუფები, რომელნიც უპირატესად არიან დამოკიდებულნი და მიმაგრებულნი მიწაზე.

პარი მესამე – პრინციპები გადაადგილების დაცვის შესახებ

პრინციპი 10

სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა, რომელსაც იცავს კანონი, არავის აქვს უფლება თვითნებურად მოუსწრაფოს ვინმეს სიცოცხლე. იძულებით გადაადგილებული პირები დაცული უნდა იყვნენ ისეთი ხელყოფისაგან, როგორიც არის:

- ა) გენოციდი;
- ბ) მკვლელობა;
- გ) სწრაფი ან თვითნებური მსჯავრის დადება;
- დ) იძულებით გაქრობა, მათ შორის ქალებისა და ბავშვების გატაცება და გატაცება გამოძალვის მიზნით, რომელიც განხორციელდა სიკვდილის მუქარით ან გახდა მისი მიზმი;

ასევე უნდა აიკრძალოს ზემოთჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების ჩადენის მუქარა და წაქეზება.

2. ნებისმიერ ვითარებაში აკრძალულია თავდასხმები ან ძალადობის სხვა აქტები, მიმართული იძულებით გადაადგილებულ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც არასოდეს მონაწილეობდნენ ან აღარ მონაწილეობენ სამომარ მოქმედებებში. იძულებით გადაადგილებული პირები დაცული უნდა იქნენ განსაკუთრებით ისეთი მოქმედებებისაგან, როგორიც არის:

- ა) გამიზნული ან განურჩეველი თავდასხმა ან ძალადობის სხვა აქტები, რაც გულისხმობს ისეთი ზონების შექმნასაც, სადაც მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმები დაუშვებელია;
- ბ) შიმშილი, როგორც ბრძოლის ფორმა;
- გ) მათი გამოყენება სამხედრო ობიექტების თავდასხმისაგან დასაცავად ან სამხედრო ოპერაციების საფარველად, ხელშემწყობად ან შემაფერხებლად;
- დ) თავდასხმები მათ ბანაკებსა და დასახლების ადგილებზე;
- ე) ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება.

პრინციპი 11

1. ყოველ ადამიანს აქვს ღირსების, აგრეთვე, ფიზიკური, გონებრივი თუ მორალური ხელშეუხებლობის უფლება.

2. იძულებით გადაადგილებული პირები, მიუხედავად იმისა შეზღუდული აქვთ თუ არა თავისუფლება, დაცული უნდა იყვნენ ისეთი მოქმედებისგან, როგორიცაა:
 - ა) გაუპატიურება, ტანჯვა, გარყვნილობა, წამება, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი და პატივისა და ღირსების შემლახავი სხვა მოქმედებები, როგორიცაა სექსობრივი ძალადობა, პროსტიტუციის იძულება და ნებისმიერი შეურაცხყოფა;
 - ბ) მონობა ან მონობის სხვა თანამედროვე ფორმები, როგორიცაა, გამოსასყიდით გათხოვება, სექსუალური ექსპლუატაცია, ბავშვის იძულებითი შრომა;
 - გ) ძალადობის იმგვარი აქტები, რომელიც გამიზნულია იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ტერორის დასათესად.

იკრძალება ზემოთჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების ჩადენის მუქარა და წაქეზება.

პრინციპი 12

1. ყოველ ადამიანს აქვს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. დაუშვებელია თვითნებური დაპატიმრება და დაკავება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ უფლების გა ნხორციელებისთვის საჭიროა, რომ ისინი არ იყვნენ ინტერნირებულნი ან შემოფარგლულნი ბანაკში ამგვარი ინტერნირების ან შემოფარგვლისთვის საჭირო შემთხვევების არსებობისას, იგი არ უნდა გრძელდებოდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ამას მოცემული ვითარება მოითხოვს.
3. იძულებით გადაადგილებული პირები დაცული უნდა იყვნენ თავიანთი გადაადგილების გამო დისკრიმინაციული დაპატიმრებისა და დაკავებისაგან.
4. დაუშვებელია იძულებით გადაადგილებული პირის მძევლად აყვანა.

პრინციპი 13

1. არავითარ შემთხვევაში შეიძლება იძულებით გადაადგილებული ბავშვების შეიარაღებულ ძალებში გაწვევა და სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის უფლების მოთხოვნა ან გაცემა.
2. იძულებით გადაადგილებული პირები დაცული უნდა იყვნენ დისკრიმინაციული გაწვევისაგან ნებისმიერ შეიარაღებულ ძალებში ან ფორმირებებში მათი მდგომარეობის გამო კერძოდ, ნებისმიერ ვითარებაში იკრძალება

ყოველგვარი სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი ქმედება, რომელიც აიძულებს პირს დათანხმდეს გაწვევაზე ან სჯის გაწვევაზე უარის შემთხვევაში.

პრინციპი 14

1. იძულებით გადაადგილებულ ყოველ პირს აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება. კერძოდ, იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ თავისუფლად გადაადგილდნენ თავიანთ ბანაკსა თუ საცხოვრებელ ადგილზე, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

პრინციპი 15

იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ:

- ა) ეძებონ უსაფრთხოება ქვეყნის სხვა ნაწილში;
- ბ) დატოვონ თავიანთი ქვეყანა;
- გ) ეძებონ თავშესაფარი სხვა ქვეყანაში;
- დ) დაცული იყვნენ იძულებით დაბრუნების ან დასახლებისგან ისეთ ადგილას, სადაც მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას და /ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა.

პრინციპი 16

1. იძულებით გადაადგილებულ ყოველ პირს უფლება აქვს იცოდეს დაკარგული ნათესავის ბედისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ.
2. ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოები უნდა ეცადონ დაადგინონ იძულებით გადაადგილებულ იმ პირთა ბედი და ადგილსამყოფელი, რომელნიც გამოცხადებული არიან, როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგულნი და ითანამშრომლონ ამავე მიზნით მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათ უნდა აცნობონ უახლოეს ნათესავს გამოძიების მსვლელობის შესახებ და შეატყობინონ ნებისმიერი შედეგი.
3. ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოები უნდა ეცადონ შეაგროვონ და დაადგინონ გარდაცვალებულთა გვამის ნაწილები, დაიცვან ისინი ძარცვისა და დამახინჯებისაგან და გაადვილონ გვამის ნაწილების დაბრუნება უახლოესი ნათესავისათვის ან უზრუნველყონ მათი პატივით დაკრძალვა.
4. იძულებით გადაადგილებულ პირთა სამარხები ნებისმიერ ვითარებაში უნდა იყოს დაცული. იძულებით გადაადგილებულ პირებს უნდა ჰქონდეთ გარდაცვლილ ნათესავთა სამარხების მონახულების უფლება.

პრინციპი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ უფლების განსახორციელებლად, იმ წევრებს, რომელთაც სურთ ერთად დარჩენა უნდა მიეცეთ ამის უფლება.
3. ოჯახებს, რომლებიც დაშორებულნი არიან იძულებით გადაადგილების გამო, უნდა მიეცეთ გამთლიანების უფლება, რაც შეიძლება მალე. უნდა გატარდეს ყველა საჭირო ნაბიჯი ამ ოჯახების აღდგენისათვის, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ბავშვებს. ხელისუფლების პასუხისმგებელმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახების წევრების მიერ განხორციელებული მოძიება, წაახალისონ და ითანამშრომლონ იმ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ ოჯახების აღდგენის საქმეში.
4. იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახის წევრებს, რომელთა პირადი თავისუფლება შეიზღუდა ბანაკებში ინტერნირებითა და შემოფარგვლით, უფლება აქვთ დარჩნენ ერთად.

პრინციპი 18

1. ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს შესაბამისი ადეკვატური ცხოვრების უფლება.
2. როგორც მინიმუმ, ხელისუფლების პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ნებისმიერ ვითარებაში და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ქვემოთ ჩამოთვლილ საშუალებებზე უსაფრთხოდ ხელმისაწვდომობა:
 - ა) აუცილებელი საკვები და სასმელი წყალი;
 - ბ) თავშესაფარი და საცხოვრებელი;
 - გ) შესაფერისი ტანისამოსი;
 - დ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და სანიტარული მომსახურება.
- 3) განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ამ ძირითადი საჭიროებებით მომარაგებასა და დანაწილებაში ქალების სრული მონაწილეობის უზრუნველყოფისაკენ.

პრინციპი 19

1. იძულებით გადაადგილებული ყველა დაჭრილი და ავადმყოფი პირი, ისევე როგორც ქმედუვნარონი, უფლებამოსილნი არიან მიიღონ სამედიცინო დახმარება და ყურადღება, რომელსაც ისინი ითხოვენ, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, გარდა სამედიცინო დახმარების აუცილებლობაზე დამყარებული განსხვავებისა, სრულად, პრაქტიკული შესაძლებ-

ლობის ფარგლებში და მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში. საჭიროების შემთხვევაში იძულებით გადაადგილებულ პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურება.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალის ჯანმრთელობას, რისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მეან-გინეკოლოგიური დაწესებულებები და მომსახურება, როგორიც არის რეპროდუქციული მედიცინა, ასევე შესაბამისი კონსულტაციები სექსუალური ან სხვა სახის შეურაცხყოფის მსხვერპლთათვის.
3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე იმას, რომ თავიდან უნდა იყოს აცილებული ვირუსული და ინფექციური დაავადებების, მათ შორის შიდსის, გავრცელება იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის.

პრინციპი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება იყოს კანონის წინაშე აღიარებული სუბიექტი.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ უფლების განსახორციელებლად შესაბამისმა სახელმწიფო ყველა ორგანომ უნდა გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მათი სამართლებრივი უფლებების განხორციელებას, როგორიცაა, პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების და ქორწინების მოწმობა, კერძოდ, ოფიციალურმა პირებმა უნდა გაადვილონ გადაადგილებისას დაკარგული დოკუმენტების აღდგენა ან ახლების გაცემა, რეალობას მოკლებული ისეთი მოთხოვნის გარეშე, როგორიცაა აღნიშნული დოკუმენტების მოსაპოვებლად მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.
3. ქალსა და მამაკაცს აქვთ უფლება, მიიღონ საჭირო დოკუმენტები და უფლება ეს დოკუმენტები გაიციეს პირადად მათ სახელზე.

პრინციპი 21

1. თვითნებურად არავის უნდა ჩამოერთვას საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქონება.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქონება ნებისმიერ ვითარებაში დაცული უნდა იყოს, განსაკუთრებით კი ისეთი სახის მოქმედებებისაგან, როგორიცაა:
 - ა) ძარცვა;
 - ბ) გამიზნული, განურჩეველი თავდასხმები ან ძალადობის სხვა აქტები;
 - გ) მათი გამოყენება სამხედრო ობიექტებისა და ოპერაციების საფარველად;
 - დ) გახდნენ რესპრესალიების ობიექტები;

- ე) მათი განადგურება ან მითვისება, როგორც კოლექტიური დასჯის მეთოდი.
3. იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქონება, რომლის დატოვებაც მათ მოუხდათ, დაცული უნდა იყოს განადგურებისა და თვითნებური და არალეგალური მითვისების, ოკუპირების ან გამოყენებისაგან.

პრინციპი 22

1. იძულებით გადაადგილებული პირები, მიუხედავად იმისა ცხოვრობენ თუ არა ბანაკებში, თავიანთი გადაადგილების გამო არ უნდა იქნენ დისკრიმინირებულნი ისეთი უფლებების განხორციელებაში, როგორიცაა:
- ა) აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის, შეხედულებისა და სიტყვის თავისუფლება;
 - ბ) უფლება, მოიძიონ თავისუფალი შესაძლებლობა სამსახურისათვის და მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ საქმიანობაში;
 - გ) უფლება, თავისუფლად გაერთიანებისა და თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში;
 - დ) უფლება, აირჩიონ და მონაწილეობდნენ სამთავრობო და საჯარო საქმიანობაში, მათ შორის, ამ უფლების განსახორციელებლად საჭირო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უფლება;
 - ე) უფლება, ისარგებლონ იმ ენით, რომელსაც ისინი ფლობენ.

პრინციპი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შესაბამისმა ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ, ამ პირებისათვის საკუთრებაში ამ მფლობელობაში არსებული ქონება, კერძოდ, იძულებით გადაადგილებული ბავშვებისათვის დაწყებითი განათლება იყოს უფასო და სავალდებულო. განათლების მიღებისას უნდა დაიცვან იყოს მათი კულტურული თვითმყოფადობა, ენა და რელიგია.
3. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ ქალებმა და გოგონებმა საგანმანათლებლო პროგრამაში მიიღონ სრული და თანაბარი მონაწილეობა.
4. განათლება და სასწავლო საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, კერძოდ, არასრულწლოვანებისა და ქალებისათვის, მიუხედავად იმისა, ცხოვრობენ თუ არა ისინი ბანაკებში და საამისოდ პირობების შექმნისთანავე.

პარი მემოთხე – პრინციპები ჰუმანიტარული დახმარების შესახებ

პრინციპი 24

1. ნებისმიერი ჰუმანიტარული დახმარება უნდა მიეწოდებოდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ჰუმანიზმისა და მიუკერძოებლობის პრინციპის საფუძველზე.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ჰუმანიტარული დახმარება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რაიმე სხვა მიზნით, კერძოდ, გადაიდოს რაიმე პოლიტიკური ან სამხედრო მიზნებისათვის.

პრინციპი 25

1. ეროვნული ხელისუფლებებს აკისრიათ უპირატესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რათა იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყონ ჰუმანიტარული დახმარებით.
2. საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს და მსგავსი საქმიანობით დაკავებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ, შესთავაზონ თავიანთი მომსახურება იძულებით გადაადგილებულთა მხარდასაჭერად. მსგავსი მომსახურებები არ უნდა ჩაითვალოს არამეგობრულ მოქმედებად ან იგულისხმებოდეს, როგორც სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა, არამედ უნდა განიხილებოდეს, როგორც კეთილი ნების გამოვლინება. ამასთანავე, ასეთ დახმარებაზე თანხმობა არ უნდა იყოს თვითნებურად მოპოვებული, მაშინ როდესაც ხელისუფლებას არ ძალუძს ან არ სურს საჭირო ჰუმანიტარული დახმარებით უზრუნველყოფა.
3. შესაბამისმა ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ და გააადვილონ ჰუმანიტარული დახმარების უპრობლემოდ მიღება და აღჭურვილ ამ საქმით დაკავებული პირები სწრაფი და დაუბრკოლებელი დაშვებით იძულებით გადაადგილებულ პირებთან.

პრინციპი 26

ჰუმანიტარული დახმარების განმახორციელებელი პირების ტრანსპორტი და აღჭურვილობა უნდა იყოს დაცული. ისინი არ შეიძლება გახდნენ თავდასხმის ან ძალადობის სხვა აქტების ობიექტები.

პრინციპი 27

1. საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა და მსგავსი საქმიანობით

დაკავებულმა დაწესებულებებმა დახმარების გაწევის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის საჭიროებას და ადამიანის უფლებებს და იმოქმედონ მათ შესატყვისად. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა პატივი უნდა სცენ შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს და ქცევის წესებს.

2. წინამდებარე პარაგრაფი არ მოდის წინააღმდეგობაში იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დაცვით მოვალეობებთან, რომლებიც აღჭურვილნი არიან საამისო მანდატით და რომელთა სამსახური შეიძლება სახელმწიფომ შესთავაზოს ან მიითვისოს.

პარი მუხუთი – პრინციპები დაბრუნების, განსახლების და რეინტეგრაციის შესახებ

პრინციპი 28

1. ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აქვთ უპირველესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რათა შექმნან პირობები, ისევე როგორც უზრუნველყონ საშუალება, რაც შესაძლებლობას მისცემს იძულებით გადაადგილებულ პირებს დაბრუნდნენ თავისი ნებით, უსაფრთხოდ და ღირსეულად თავიანთ სახლებში ან საცხოვრებელ ადგილებში ან ნებაყოფლობით ხელახლა განსახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში. მსგავსმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ და გაადვილონ დაბრუნებულ ან განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა რეინტეგრაციას.
2. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მიმართონ იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების, დასახლებისა და რეინტეგრაციის დაგეგმვისა და მართვის პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

პრინციპი 29

იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ან ისინი ვინც დასახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში, არ შეიძლება დისკრიმინირებულნი იყვნენ თავიანთი მდგომარეობის გამო. მათ აქვთ უფლება, შეუზღუდავად და თანაბრად, ნებისმიერ დონეზე მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ურთიერთობებში, აგრეთვე, თანაბრად ისარგებლონ საზოგადოებრივი მომსახურებით.

ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აკისრიათ მოვალეობა და პასუხისმგებლობა, დაეხმარონ დაბრუნებულ და/ან ხელახლა დასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს აღუდგინონ, შესაძლებლობის ფარგლებში, მათ საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც მათ დატოვეს ან წაერთვათ გადაადგილებისას. როდესაც ქონებისა და მფლობელობის აღდგენა შეუძლებელია, ხელისუფლების უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ან დაეხმარონ ამ პირებს შესაბამისი კომპენსაციის ან სხვა სახის რეპარაციის მიღებაში.

პრინციპი 30

ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაუშვან და გაუადვილონ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და შესაბამის დაწესებულებებს

თავისი მანდატის განხორციელების შესაძლებლობა, რათა მათ სწრაფად და შეუფერხებლად განახორციელონ იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება მათი დაბრუნების, განსახლების ან რეინტეგრაციის პროცესში.



საკონსტაქტო ინფორმაცია

ბრუკინგსის ინსტიტუტი – LSE

პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ

www.brookings.edu/idp

idp@brookings.edu

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საქართველოს ოფისი

www.nrc.no

nrc@nrc.ge